№ 2890
პარასკევი,
19 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2890
პარასკევი,
19 აგვისტო

ხელის-მოწ. ფასი: წლიწადში—6მ., „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩა, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის საკუთრებაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ანნა თაქთაქიშვილისა, ალექსანდრა გვახარიასა, დარია მაჩაბელი, რევაზ და სვიმონ ილიას ძენი მაჩაბლები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ამ წლის მარიამობისთვის ოცში—შაბათს თავიანთ უძვირფასეს ძმის პორტ-არტურში მოკლულის

თ. ოქრო ილიას ძის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად იქმნება გარდახდილი წლის წირვა წმიდა გიორგის ეკკლესიაში სოფ. დივრისში.

შაბათს, 20-ს აგვისტოს, გარდახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი მუკდენში მოკლულ პოლკოვნიკ

თ. ვლადიმერ გაბრიელის ძის მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი კნ. სოფიო სვიმონის ასული, შვილები განსვენებულისა, დები და დისწული. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე და პანაშვიდი 12-ზე.

ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, პეტრე სამსონის ძე მაჭავარიანი, დავით ლუარსაბის ძე ყიფიანი, სამსონ ზურაბის ძე და ანნა ივანეს ასული მაჭავარიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფ. ბორში უეცრად გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორის მეუღლე, მესამის და და მეოთხეთა რძალი

სოფიო ლუარსაბის ასული მაჭავარიანისა.

დაკრძალვა მოხდება სოფ. ბორში 21 აგვისტოს. (2—1)

ამ ინსტრუქციის მე 2 და 5 მუხლების ძალით, რომელიც ეხება მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებებს და თათბირებს **ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების** შესახებ მოსალაპარაკებლად და თანახმად ტფილისის გუბერნატორის მოწერილობისა 2 აგვისტოს თარიღით და 363 ნომრით, **ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ა. მ. სუმბათაშვილი** იწვევს ტფილისის მაზრის ყველა კერძო მემამულეს, რომელიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნის, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების პატრონთ და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც სანადელო მიწებს გარდა აქვთ ნაყიდი მიწები, მობრძანდნენ 26 ამა აგვისტოს, დილის 10 საათზე, ტფილისს ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლაში სასახლის ქუჩაზე, სადაც **მოხდება საწინდაწინო და საარჩევნო კრებები წარმომადგენელთა ასარჩევად სამაზრო საბჭოში. ეს საბჭო განიხილავს საკითხს საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ ამიერ კავკასიაში.** კერძო მოწვევის ბარათები არავის დაეგზავნება. (3—6.—1)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომელსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაიწყება.

მიღება 20 აგვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—3) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა**

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მოწზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუდარებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—84)

ქუთაისის საქალო სამეურნეო საზოგადოების

„შრომა"-ს

საბჭო ამით აცხადებს, რომ, რადგან 31 გასულ ივლისს არ შესდგა ამ საზოგადოების წევრთა კრება, ხელ ახალი კრება დანიშნულია კვირას, 21 აგვისტოსთვის, საღამოს 6½ საათზე ქ. ქუთაისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში, განსახილავად წლიურ ანგარიშებისა და სხვა და სხვა კითხვების გადასაწყვეტად შესახებ საზოგადოების სკოლის საჭიროებისა, და სთხოვს როგორც წევრთ, ისე ყველას, ვისაც აინტერესებს გაგება საზოგადოების მოქმედებისა ამ პირველის ერთი წლის განმავლობაში, დაესწრონ აღნიშნულ კრებას. (5—3)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის სექტემბრის 18-ს, კვირას, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო საგანგებო კრება.

კრების განსახილველი შემდეგი საგნები:

1. გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ამხანაგის და წევრების არჩევანი.
2. სათავად-აზნაურო გიმნაზიისა და ახალის შენობისათვის, სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევანი.
3. საკითხი გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ.

და 4. სხვა და სხვა საკითხები. (5. 4—2)

სკოლა-პანსიონი და საბავშვო ბაღი

ბუჯეევსკი—ერისთავისა.

გადავიდა ქსენიას ქუჩაზე, № 5, სახლი გოკიელოვისა, „ვეტცელის" სასტუმროს გვერდზე (კუთხე მიხეილის და ქსენიას ქუჩებისა). მიიღებს მოსწავლე-პანსიონერებს, ნახევარ პანსიონერებს და გარედან მოსიარულებს. ამზადებს საშუალო სკოლების დაბალ კლასებში. ასწავლიან ახალ ენებს. ცეკვა და მუსიკა.

ბავშვების მიღება 24 აგვისტოდან.
3—327—1).

ქუთაისის საქალო სამეურნეო საზოგადოების „შრომა"-ს საბჭო ამით აცხადებს, რომ სწავლა **საზოგადოების სამეურნეო სკოლაში** განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამა სასწავლო წელს გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ასოცდაათი მანეთი (130 მ.) და მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანეთი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა დაიწეროს სკოლის გამგის სახელზე. ფოსტის ადრესი: Секретарю Совѣта Общества „Шрома" І. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ городъ Кутаисъ. Контора нотаріуса Анджапаридзе. (7—5)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ცაბიშვილისა № 15.

ექიმი
პ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი 5-დან 8 საათამდე. (30—5.—20)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—4)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—2)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით. (თვ.—328—1).

ისევ თვითმართველობაზე ჩვენში

„მოგზაური" ასე გვიმარტავს ეროვნულ თვითმართველობის იდეას: საქართველოს წვრილი ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა უცხოეთიდან გადმოსულ კაპიტალისაგან იჩაგრება, ამიტომ მათი დაღუპვა აუცილებელია, თუ საქართველო ამ გზას გაჰყვა, რომელსაც ახლა ადგია; წვრილ ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის ინტერესი მოითხოვს, შეჩერებულ იქმნას ეს ძლევამოსილი მსვლელობა მსხვილის კაპიტალისა; ამ მსვლელობის შემაჩერებელი იარაღი—ტერრიტორიალურ-ნაციონალური ავტონომიაა და ამ სწორედ ამიტომ აჟრიალდა ავტონომიის დროშა, რომელსაც დღეს ხალხის უმრავლესობა არ მისდევს, მაგრამ მომავალში კი გაჰყვებაო,—ასე ბრძნულად გვიხსნის გაზეთი „მოგზაური" ეროვნულ თვითმართველობის იდეის წარმოშობას, ვითომც და, დეე ქვეყანამ დაინახოს, რომ ასეთ თვითმართველობის მომხრენი წვრილი ბურჟუები ან მათი იდეოლოგები არიან, მაშასადამე ეს მიმართულება რეაქციონერობა ყოფილაო.

ჩვენს გაზეთში ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა ნათქვამი, რომ თავის თავად ეროვნულ თვითმართველობა ერთ-ერთ სოციალურ კლასსის ინტერესთა განხორციელების ფორმა არ არის, რომ ეროვნული თვითმართველობიანი სახელმწიფო შესაძლოა მსხვილ კაპიტალისტებსაც ემსახუროს, წვრილ ბურჟუებსაც და მუშებსაც, იმისდამიხედვით, თუ რომელი კლასსი გაიმარჯვებს ამათგან და რომელი კლასსი ჩაიგდებს ხელში სახელმწიფო უფლების ანუ ბრძანებლობის ძალას. გაზეთი „მოგზაური" გვიმტკიცებს, საქართველოს რომ ევოლიუციის მხრივ შევხედოთ, ის უკვე კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ თუ მის არსებულ სტატიკურ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში, ის წვრილ ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის ტიპიურ სამეფოდ გვეჩვენებაო. ამის გამო, „მოგზაურის" აზრით, თვითმართველობის საქართველოში მესვეურობა წვრილ ბურჟუას ჩაუვარდება ხელში და რეაქციონურ მიმართულებას დაადგება.

ვთქვათ, გაზეთი „მოგზაური" ფხიზელს პოლიტიკურს შორსმჭვრეტელობას იჩენს და მართლა, მოსალოდნელია წვრილ ბურჟუაზიის რეაქციონური მერთვა თვითმართველობაში საქართველოში იმიტომ, რომ საქართველო წვრილ ბურჟუაზიის ტიპიური ქვეყანაა,—განა აქედან იმ აზრის დასკვნა შეიძლება, რომ ეროვნულ თვითმართველობის მომხრე აუცილებლად რეაქციონერი და წვრილი ბურჟუა იყოს? რა ვუყოთ, რომ საქართველოს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა წვრილი მესაკუთრეა?—განა ეს საკმაო საბუთია თვითმართველობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად? ვინ არ იცის, რომ მთელს რუსეთში მცხოვრებთა 85 პროცენტზე მეტი ისეთივე წვრილი მესაკუთრე, ისეთივე წვრილი ბურჟუაა, როგორც ჩვენში; მაგრამ ვინ, რომელი რუსეთის ქვეშევრდომი იტყვის, უარვყოთ ჩვენი თვითმართველობა და გერმანიის, ან ინგლისის, ან საფრანგეთის კანონებით ვიცხოვროთო? ვინ იტყვის, რომ რუსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა წვრილ ბურჟუაზიისთვის იყოს სასარგებლო და ამიტომ ყველა არა რეაქციონერი უნდა ეწინააღმდეგებოდესო იმას?

ჩვენი მესამე დასელები დიდის მორჩილებით ითვისებენ რუსეთის სოციალდემოკრატიისაგან ყველა აზრსა და პროგრამის ყველა მუხლებს, მაგრამ რატომ ისინი ერთხელ მაინც არ გაითვალისწინებენ, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიას არასოდეს აზრადაც არ მოსვლია, უარ-ეყო რუსეთის სახელმწიფოებრივი თვითმმართველობა და იგი რეაქციის იდეოლოგიად აღეარებინა? თუ ჩვენს ქვეყანაში, წვრილ ბურჟუაზიის გამანადგურებელი, „მოგზაურის" აზრით, რუსეთის ახლად ფეხ-ადგმული კაპიტალია, რატომ ავიწყდებათ მესამე დასელებს, რომ თვით რუსეთში ასეთსავე როლს თამაშობს უცხოეთის კაპიტალი? ან განა გერმანიის კაპიტალიზმმა-კი უცხოეთიდან არ დაუწყო პირველად ფეოდალიზმს ბრძოლა და განადგურება?

კაპიტალიზმის ბუნებითი წესი ასეთია, რომ რაკი ერთს რომელსამე ქვეყანაში მოიდგამს ის ფეხს, აუცილებლად მალე სხვა ქვეყნების, სხვა სახელმწიფოების სიმაგრეებსაც შეანგრევს და იქაც შეიჭრება წვრილ ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. ამას გვეუბნება ევროპის კონტინენტის ისტორია და ამგვარივე მოვლენა ჰხდება ამ ჟამად ჩვენში. ვერც საფრანგეთის და ვერც გერმანიის სახელმწიფოებრივმა კედლებმა ე. ი. თვითმართველობამ ვერ შეაჩერა კაპიტალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა და რა უფლებით, რის ძალით უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ეროვნული თვითმართველობა მოახერხებს მიუვალ სიმაგრეების შექმნას და ძველ წესებში სულის ამოხრჩობას.

საქმე ის არის, რომ ჩვენი მესამე დასელები წარბ შეუხრელად ჰზელავენ ერთს ტაფაში მარქსის თეორიის კაპიტალიზმის განვითარების შესახებ და ეროვნულ სხვა-და-სხვაობისაგან გამოწვეულს საჭიროებას ეროვნულ თანასწორობის განხორციელების ფორმებისას. შეიქნება თუ არა საქართველო თვითმართველობით ერთეულად—ეს კაპიტალიზმის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში სულ ერთია, კაპიტალიზმი მაინც განვითარდება, და როგორც სხვა ქვეყნებში ვერ შეაფერხა იმის ზრდა თვითმართველობამ, ისე ჩვენს სამშობლოში ვერ შეაჩერებს იმას.

ეროვნული თვითმმართველობა რომ წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგებისაგან გამოგონილ იარაღად ჩაითვალოს მსხვილ კაპიტალთან საბრძოლველად, ამისთვის ყოვლის უწინარეს საჭიროა, დამტკიცებულ იქმნას, რომ ის მართლა მოახერხებს კაპიტალიზმის განვითარება შეაჩეროს. ჩვენმა მარქსისტებმა, რა თქმა უნდა, კარგად უნდა იცოდნენ, რომ ეროვნული თვითმმართველობა ასეთი საშუალება არ არის, და თუ მაინცა და მაინც საქართველოს თვითმართველობა წვრილ ბურჟუაზიის ინტერესთა იდეიურ გამოხატულებად მიაჩნიათ, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იმათ მარქსისტობის სამოსელი ეროვნულ დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოთ ჰსურთ გამოიყენონ.

სწორედ ამის გამო ვერ წარმოუდგენიათ ჩვენს დასელებს ისეთი თვითმმართველობა, რომელიც საკუთარის საბაჟოს წრით არ იქნება შემოხაზული; ნამდვილი ფაქტები შვეიცარიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების უსაბაჟო თვითმართველობათა იმათთვის არ არსებობს და ისინი მუდამ ჟამს გაიძახიან, თვითმმართველობით საქართველო მძიმე საბაჟო გადასახადებით გაუმკლავდება უცხოეთის კაპიტალსაო. ჩვენის შეხედულებით საქართველოს თვითმმართველობა არა თუ აუცილებლად არ იგულისხმებს საბაჟოს, მომეტებული ნაწილი იმის მიმდევრებისა პირდაპირ აცხადებენ საბაჟოების დაწესება აზრადაც არა გვაქვსო.

მაგრამ დასელებს თავის პოლიტიკურის შორსმჭვრეტელობის უფრო მეტი სწამთ, ვიდრე ეროვნულ თვითმართველობის მომხრეთა სიტყვისა, და შესაძლოა გვიპასუხონ, ეხლა ასე ამბობენ, მაგრამ როცა საქმე საქმეზედ მიდგება—სხვას იტყვიანო. ვთქვათ, მართლა საბაჟოს წრეში ჩასვეს თვითმართველობიანი საქართველო, განა ეს აუცილებლად იმის მოასწავებელია, რომ კაპიტალიზმის ზრდა შეჩერდება? სრულიადაც არა, თუ ფაქტების მიხედვით გავარკვევთ საქმეს და არა ზეპირის ფრაზებით. განა ეხლა რუსეთი და მაშასადამე საქართველოც, როგორც იმისი პოლიტიკური ნაწილი, საბაჟოს გალიაში არა ზის, განა საბაჟოებით არ არის გარშემორტყმული ყველა, ეხლანდელი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ არსად კაპიტალიზმს ზურგი არ შეუქცევია წვრილ ბურჟუაზიისთვის? და თუ საქართველოს საბაჟო გაანთავისუფლებს ჩვენს ქვეყანას რუსეთის კაპიტალის ნაწარმოებისაგან და კარს გაუხსნის სხვა სახელმწიფოების კაპიტალს, იმიტომ, რომ იქ კაპიტალი უფრო იაფფასიანი და კარგი თვისების საქონელს ამზადებს—განა ეს საზიანო იქნება კაპიტალიზმის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში? პირიქით მაშინ უფრო მარდად გაიწევს წინ კაპიტალიზმი და უფრო ადვილად დაამარცხებს წვრილს წარმოებას.

ქართველ ადამიანის აზროვნება ჩვეულია რუსეთის ინტელიგენციისაგან დაღეჭილ და გადაღეჭილ აზრების გამეორებას, ქართველ ინტელიგენციას არც უყვარს საკუთარის ძალღონით რთულ მოვლენების შეგნება და არც სჯერა, რომ თავის საკუთარის გონებით იპოვოს ჭეშმარიტება, მთელის ასის წლის განმავლობაში ეჩვეოდა ის მოსკოვსა და პეტერბურგში გაბატონებულ მიმართულებათა გადმონერგვას ჩვენს მიწა-წყალზე, და ამიტომ არც საკვირველია, რომ ჩვენი სოციალდემოკრატები რუს სოციალდემოკრატებისაგან შედგენილ პროგრამის მიხედვით გაიძახიან, ქართველის მუშა ხალხის ინტერესებისთვის ეროვნული თვითმართველობა მავნებელ იაო. საოცარია და სამწუხაროა, რომ ჩვენს დასელებს თავისი თავი თამამად გამოჰყავთ იმ სოციალისტურ წესწყობილების მომხრეთ, რომელიც ჯერ არსად განხორციელებული არ არის, და იმდენი უნარი კი ვერ გამოუჩენიათ, რომ მოიპოვონ თავის აზროვნების ემანსიპაცია და სწორედ იმ პრინციპებით იხელმძღვანელონ, რომლებიც თანამედროვე ევროპის და არა რუსეთის სოციალისტურ მიმართულების დედა-აზრებად ითვლებიან **გ. რ.**

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
17 აგვისტო

ბერლინი, 17 აგვისტო. იაპონელებმა იმიტომ დაუთმეს, რომ ოიამამ აცნობა ტოკიოში, ან ეხლავე ზავი, ანა და უნდა გავილაშქრო წინ ყველა ჩემი ჯარებით, ვინაიდან რუსებს თანდათან ემატებათ მაშველი ჯარიო.

კოვნო. ზავის ჩამოგდების შესახებ მოსულმა დეპეშებმა ძლიერ გაახარა მცხოვრებნი.

კოპენჰაგენი, 17 აგვისტო. აქ იმყოფება იაპონიის საერო სამინისტროს წევრი დანიის სკოლის საქმეების შესასწავლად.

ხარკოვი, 17 აგვისტო. ზავის ჩამოგდების ამბავმა ძლიერი სიხარული გამოიწვია მკვიდრთა შორის. ყველგან ღრმა კმაყოფილებით ლაპარაკობენ ზავზე, ულოცავენ ერთმანეთს და ჰკოცნიან. კერძოთ გადაიხადეს პარაკლისი.

ორიოლი. გუბერნატორის განკარგულებით დასტამბეს ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტი დამატებითურთ და დაუგზავნეს საერობო უფროსებს ხალხში დასარიგებლად და სოფლის ყრილობაზე წასაკითხად, რათა გლეხობა გაეცნოს ბოძებულ წყალობას.

ვილნო. ბინის მოქირავეთა რიცხვი, რომელთაც უფლება აქვთ სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევნებში მონაწილეობისა, დასავლეთის მხრის გუბერნიებში—1327-ია.

ორიოლი. საერობო და ქალაქის საქმეების შესახები საკრებულო შეუდგა, თანხმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობისა, სამზადისს საარჩევნო სიების შედგენისა.

მოსკოვი. უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე 12 თხოვნა შემოიტანეს გამსაცდელ კომისიაში, მათ შორის ორი ექიმი—ქალია უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლა მიღებულები, იურიდიულზე შემოვიდა 22 თხოვნა, მათემათიკურზე 4, საბუნების-მეტყველოზე 5 და ფილოლოგიურზე 2.—ზავის ამბებმა კარგი გავლენა იქონიეს ბირჟაზე. ყველა ქაღალდების ფასმა აიწია.—სათათბიროში ამომრჩეველთა რიცხვი 12 ათასამდეა. საარჩევნო სია 15 ათასი ცალი დაიბეჭდება.

მოსკოვი. ტყუილია ხმები გენ.-გუბერნატორის წასვლის შესახებ.

პარიზი, 17 აგვისტო. „ჟურნალ"-ი ამბობს, ზავის ჩამოგდება საფრანგეთში ცხოველ კმაყოფილების გრძნობას გამოიწვევსო. გაზეთი ულოცავს მოკავშირე ერს, რომ მან მოახერხა შემდგარიყო სახიფათო გზაზე და აღნიშნავს, რომ იაპონიის დიპლომატების ზომიერებამ დიდად შეუწყო ხელი მოლაპარაკების საქმესო. „მატენ"-ი გულ-მხურვალედ აქებს რუზველტს და დიდებულს მშვიდობის-მყოფელს უწოდებს.—„პტი ჟურნალ"-იც ამ აზრს ადგია.—„რეპუბლიკ ფრანსეზ"-ი მთელს წარმატებას რუზველტს აწერს.—„ჰუმანიტე" ამბობს, მეტადრე ფრანგებს უნდა უხაროდეთ, რადგანაც ბედნიერმა ცნობამ გვიხსნა ჩვენ უკანასკნელ დროის მღელვარება-შიშიანობისაგანო. „ეკო-დე-პარ"-ი ულოცავს ზავის ჩამოგდებას და საქმის წარმატებას აწერს რუზველტის ცდასა და ინგლის-ია-

პონიის ხელ-შეკრულობის გავლენას.—მილანსა და რომში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ზავის ამბებმა. ამბობენ, იაპონიას რაღაც ისეთი ანგარიში ჰქონდა, რაც ჩვენ არ ვიცით, თორემ ის ისე არ დაუთმობდა ასრე მოულოდნელადო. ჰფიქრობენ, ვითომც რუსეთ-იაპონიის კავშირიც-კი შეიკრაო. ამბობენ აგრეთვე, რომ დიდი გავლენა იქონიეს ზავის ჩამოგდებაზე საფრანგეთისა, ამერიკისა და ინგლისის ბანკირებმაო.

ლონდონი. „ნეიე ფრეიე პრესსე“ს დეპეშა იუწყება, კრიტონსზე ატსიპოპულოსთან უკანასკნელი შეტაკებისა გამო საბერძნეთის მთავრობამ ნოტა დაუგზავნა სახელმწიფოებს საერთაშორისო ჯარების მაგიერ საბერძნეთის ჯარების ჩაყენების შესახებ.

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. იაპონიის გაზეთების კორესპონდენტები აღელვებულნი არიან დათმობით და ითხოვენ, რომ იაპონიის რწმუნებულებმა ხარიკირით მოიკლან თავი. „ისაკა შინდუნ“-ის კორესპონდენტი ამბობს, იაპონიის რწმუნებულნი სახელმწიფოს მოღალატენი არიანო. „ხაშაგუჩი“-ს კორესპონდენტის აზრით, ზავის ჩამოგდება სიმხდალეს ნიშნავსო. გამარჯვებით შექმნილი წარმატებანი, ამდენი ხარჯი, ამდენი კაცის სიცოცხლე, ყველაფერი წყალში ჩაცვივდა. მოღალატენი არიან კომურა და ტაკახირა და სიკვდილი მათ, ვინაიდან იგინი სამშობლოს გამყიდველი აღმოჩნდნენო.

ნიუ-იორკი. ამერიკაში დიდ ამბავში არიან; იაპონიის რწმუნებულნი დაღვრემილები არიან. რწმუნებულთა შორის სრული შეთანხმება მოხდა. ზავი გამოცხადდა და ხელ-მოწერილია კიდეც. პროფესსორ მარტენსსა და დენისსონს მიანდეს შეიმუშაონ ზავის ოქმი, რაც შეიძლება ჩქარა.

პოლანგენი. მობილიზაციამ წესიერად ჩაიარა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 აგვისტო.

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. ელოდებიან, რომ სამშვიდობო ხელშეკრულობას ამ კვირის ბოლოს ჩამოაგდებენ. ვიტტეს სიტყვით ხელშეკრულობის პროექტი ფაქტიურად უკვე აღნუსხულია. როგორც ამბობენ შეკრული იქნება სავაჭრო პირობა, რომელსაც საფუძვლად უმეტესი ურთ ერთი კეთილ-განწყობილება და ღია კარების პრინციპი ექნება. იაპონიისათვის დათმობილ რკინის გზის ნაწილი იწყება კვანდენსის უღელ-ტეხილთან პორტ-არტურამდე. ეს ნაწილი არ ემორჩილება საერთაშორისო კონტროლს. რუსეთი და იაპონია სიტყვას სდებენ, არ გაამაგრონ ლაპერუზოვის სრუტე. სატომ შემდეგი განაცხადა იაპონიის რწმუნებულების სახელით: სახალინისა და კონტრიბუციის საკითხი მუდამ უშლიდა ხელს კონფერენციის მსვლელობას. იაპონიის იმპერატორმა კაცთ-მოყვარეობისა და ცივილიზაციის გულისთვის მიანდო თავის რწმუნებულთ, უარი სთქვით ხარჯის ანაზღაურებაზე და დაეთანხმეთ სახალინის განაწილებაზეო. ვიტტემ დეპეშა გაუგზავნა რუზველტს და მიულოცა მას, როგორც ინიციატორს პორტ-სმუტის ზავისას. კომურამ წინადვე აცნობა რუზველტს შეთანხმების ფაქტის შესახებ. პრეზიდენტმა მიულოცა ორივეს ტელეგრაფით.

ტოკიო, 16 აგვისტო. მინისტრთა კომიტეტი პარლამენტს მსწრაფლ სესსიას იწვევს, რათა ხალხს ანგარიში წარუდგინოს სამშვიდობო კონფერენციისა.

სევასტოპოლი. „გიორგი პობედონოსეც“-ის მატროსებს, სხვათა შორის, იცავენ სოკოლოვი და თ. ერისთავი.

ტოკიო, 17 აგვისტო. იაპონიის პრესა ერთ-ხმად ჰგმობს სახალინის დათმობას და კონტრიბუციის საქმის ასე გათავებას. „ხოჩი“-ს აზრით ასეთის ზავის მიღება სამარცხვინო საქმე იქნება, სამშობლოს პატივი და მისი ინტერესები უკრძალავენ მოლაპარაკების გაგრძელებას, თუ რუსეთი არ დაუთმობს. „ასახი“ ურჩევს მოლაპარაკების დარღვევას, რადგანაც რუსები უგონო ჯიუტობას იჩენენ. „ნიში-ნიში-შიმბუნ“-ი, რომლის ხელმძღვანელად გამოცდილი დიპლომატია, იმ დასკვნამდე მიდის, რომ სახალინის განაწილების იდეა არ არის სახელდახელო, რადგანაც იაპონელების მიზანია ისე წაიყვანოს საქმე, რომ რუსეთს წაართვას საშუალება კვლავ დაემუქროს ხოლმე იაპონიის ინტერესებს. საჭიროა აგრეთვე კონტრიბუციის მოთხოვნა. შეიძლება თავის მოთხოვნების ასრულების დაჟინებით მოთხოვნით იაპონიამ განხეთქილება ჩამოაგდოს, მაგრამ სხვა გზა არ არის. „კოკუმინ“-ს არ სჯერა, რომ განხეთქილება მოხდება და იმედი აქვს, რომ რუსეთი მიიღებს იაპონიის ახალს წინადადებებს, თუ არა და, თვითონ აგოს პასუხი საშინელის ბრძოლის გაგრძელებისათვისო.

მოსკოვი. ზავის ამბებმა დიდი კმაყოფილება გამოიწვია მცხოვრებლებში. ყველა მოუთმენლად ელის ზავის პირობებს ოფიციალურად.

პეტერბურგი. ვიტტეს დეპეშა ხელმწიფის სახელზე: „პორტ-სმუტი, 1905 წ. 16 აგვისტო. „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, რომ იაპონიამ მიიღო თქვენი მოთხოვნები ზავის შესახებ და, ამგვარად, მშვიდობიანობა აღდგენილ იქმნება, თქვენის ბრძნულისა და მტკიცე გადაწყვეტილების წყალობით და ისე, როგორც თქვენის უდიდებულესობის მიერ იყო ნაბრძანები. რუსეთი ისევ ისე დიდებული სახელმწიფოა შორეულ აღმოსავლეთში, როგორიც დღემდე იყო და იქმნება უკუნითი უკუნისამდე. ჩვენ მთელი ჩვენი ჭკუა-გონება და რუსული გული მოვახმარეთ თქვენის ბრძანების შესრულებას. გთხოვთ მოწყალედ გვაპატიოთ, თუ მეტის გაკეთება ვერ შევსძელით.“

პორტ-სმუტი, 17 აგვისტო. ვიტტემ მიიღო კორესპონდენტები და მადლობა უთხრა უანგარებისთვის. ზავის შესახებ მან სთქვა: „როგორც უნდა განსაჯოს ისტორიამ ჩვენის შრომების კონკრეტული შედეგი, მე კმაყოფილად ვგრძნობ თავს, რადგანაც, შეძლების დაგვარად, ვეცადე კეთილ-სინიდისიერად აღმესრულებინა ჩემდამი დაკისრებული მისსია, ვეცადე დამეცვა სამშობლოსა და ხალხის ინტერესები“.

ლონდონი. ვიტტეს მიერ ტალეირანს უწოდებენ. საეჭვოდ მიაჩნიათ საიდუმლო მუხლების შესახები ხმები.

გოძიადანი, 17 აგვისტო. ლიაპუნოვის იაპონელებისთვის რაზმის ჩაბარების შემდეგ სამოქალაქო საქმეების გამგეობა მოლაპარაკებამდე იკისრა ვიცე-გუბერნატორმა ბუნგემ. იაპონიის ჯარების სარდალმა სრული დახმარება გაუწია მცხოვრებთ და ნება მისცა ყველას 7 აგვისტომდე დეკასტრში გადავიდნენ იაპონელების გემებით. ამ რიცხვის შემდეგ მცხოვრებთ ხარკი დაადეს. წასვლა მოისურვა თითქმის ყველა რუსებმა. ბუნგეს შუამდგომლობით მოვიდა იაპონელების ნებართვა ნიკოლაევსკში კერძო გემებით წასვლის მსურველთათვის. ბუნგეს განკარგულებით ნიკოლაევსკში გაიგზავნა 62 სული ავადმყოფი. ბავშვების თავ-შესაფრები, რომელთაც იაპონელები დიდის ყურადღებით ეპყრობიან, ნება-დართულია, ადესაში გადაიტანონ. ადმინისტრაცია რუსეთში მიდის.

ოისტერბეი, 17 აგვისტო. რუზველტმა შემდეგი უპასუხა ვიტტესა და როზენს ზავის შესახებ: „არ ძალ-მიძს საკმაოდ გამოვხატო ჩემი სიხარული და ვერ მიპოვნია სიტყვები, რომ მოგილოცოთ თქვენა და მთელს განათლებულს ქვეყნიერებას, თქვენსა და იაპონიის რწმუნებულთა შორის ჩამოვარდნილი შეთანხმება და აგრეთვე ის ფაქტი, რომ ზავს ერთ ნაირი პატივი აქვს ორივე მხარისთვის.“—ასეთივე პასუხი გაუგზავნა რუზველტმა კომურასაც.

ნოვოჩერკასკი. თავად-აზნაურთა საოლქო წინამძღოლთა გადაუწყვეტიათ სთხოვონ ნაკაზნი ატამანს შემოიაროს აგრარული მოძრაობის ადგილები და გამართოს ხოლმე სიეზდები ნოვოჩერკასკში თავად-აზნაურთა წინამძღოლთა, მიწათ-მფლობელებისა და გლეხების წარმომადგენელთაგან და აგრეთვე გაიგზავნოს დონეცის ოლქში კაზაკთა სოტნები, რათა მორალური ზეგავლენა იქონიონ მცხოვრებლებზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ზავი. ახალი დეპეშებიდან სჩანს, რომ 16 აგვისტოს რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულნი სრულიად შეთანხმებულან და საზავო ხელშეკრულობის დაწერას შესდგომიან. ორსავე მთავარ სარდლისათვის ბძანება გაუგზავნიათ, დროებითი შერიგება ჩამოაგდეთო, ასე რომ ორიოდე დღეში ომის ასპარეზზე სისხლის ღვრა მოისპობა და რუსეთ-იაპონიის ომს ბოლო მოეღება. ზავის პირობებზე კი ჯერ ისევ არეული და მეტად ტენდენციოზური ცნობები მოდის. დეპეშებიდან კიდევ ისე გამოდის, თითქო ბოლოს დროს ყველაფერში იაპონიას დაეთმოს. საყურადღებოა, რომ ხმა გავრცელებულა, ვითომ საზავო პირობაში ერთი საიდუმლო მუხლიც არის შეტანილიო.

თუმცა ზავის პირობები ჯერ არაა გამოცხადებული, მაგრამ მაინც ეხლავე შეიძლება თქმა, რომ რუსეთი შემდეგ პირობებს დასთანხმდა: კორეიაზე იაპონიის პროტექტორატი უნდა დაწესდეს, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული პორტ-არტურითა და დალნით და მანჯურიის რკინის გზა ხარბინის სამხრეთით იაპონიის ხელში უნდა გადავიდეს, რუსეთმა ჯარი უნდა გაიყვანოს მანჯურიიდან, მანჯურიაში ჩინეთის მმართველობა იქნება აღდგენილი; იაპონელებს თევზის ჭერის უფლება ეძლევა ვლადივოსტოკის ჩრდილოეთით ციმბირის ნაპირებსა და ბერინგის სრუტეში. სახალინის სამხრეთი ნაწილი იაპონიის ხელში უნდა გადავიდეს. ესეთი პირობა ძლიერ სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს იაპონიისათვის. ფრანგული გაზ. „ტან“-ი მარტო კუნძულ სახალინს 10 მილიარდ მანეთად აფასებს, ასე რომ იმისი ნახევარი ხუთ მილიარდ მანეთად ღირება. („ს.“)

რუსეთისა და იაპონიის ხარჯი ჯარსა და ფლოტზე. „ბირჟევია ვედ.“-ში დაბეჭდილია ცნობები, რამდენი დახარჯეს იაპონიამ და რუსეთმა ჯარსა და ფლოტზე ამ ათის წლის განმავლობაში—1894 წ.—1903 წლამდე.

ჯარებზე დახარჯეს:

	რუსეთის ხარჯი.	იაპონიის ხარჯი.
1894 წელს	280,4 მილ. მან.	10,4 მილ. მ.
1895 „	285,2 „ „	10.0 „ „
1896 „	294,3 „ „	53,2 „ „
1897 „	293,8 „ „	60,1 „ „
1898 „	303,3 „ „	53,9 „ „
1899 „	333,6 „ „	52,6 „ „
1900 „	331,5 „ „	74,8 „ „
1901 „	334,6 „ „	58.5 „ „
1902 „	343,1 „ „	48,5 „ „
1903 „	329,9 „ „	42 2 „ „
სულ	3,129,1	465.0

თუ 1898 წელს რუსეთში 127 მილიონ მცხოვრებს ვიანგარიშებთ, იაპონიაში კი 43 მილიონს, გამოვა, რომ სულზე რუსეთში მოვა 24 მან. და 46 კაპ. 10 წლის განმავლობაში, ე. ი. წელიწადში საშუალოდ 2 მ. და 64 კაპ. იაპონიაში კი 10 წლის განმავლობაში თითო სულზე მოვა 10 მან. და 64 კაპ. ერთ წელიწადში კი—11 მ. და 6 კაპ.

იმავე ხანში რუსეთმა და იაპონიამ ფლოტზე დახარჯეს:

	რუსეთი	იაპონია
1894 წელს	55,1 მილ. მ.	10,3 მილ. მ.
1895 „	57,1 „ „	13,5 „ „
1896 „	59.5 „ „	20.1 „ „
1897 „	85,3 „ „	50,4 „ „
1898 „	157,3 „ „	58,5 „ „
1899 „	83,6 „ „	61,7 „ „
1900 „	88,6 „ „	58,3 „ „
1901 „	93,0 „ „	44,0 „ „
1902 „	100,4 „ „	36,4 „ „
1903 „	116,2 „ „	29,2 „ „
სულ	896,1	382,4

ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ რუსეთს ჯარსა და ფლოტზე გაცილებით მეტი დაუხარჯავს ვიდრე იაპონიას. („ბ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ საშინელი ამბები მოდის შუშის მაზრიდან. **სომხებისა და თათრების შეტაკება** ნამდვილ ბრძოლად გადაიქცა. 17 აგვისტოს, როგორც „არშა ლუის“-ის რედაქტორს ატყობინებენ, მოუკლავთ 11 სომეხი და 34 თათარი. ამ ამბავს საშინლად გაუზრახებიათ თათრები და დაჰრევიან შუშას. ქალაქში განუწყვეტელი სროლა და თოფ-რევოლვერების ჭახა-ჭუხია. გუბერნატორი ყაზახ-რუსებით თითონ წასულა შუშაში. ჯარში არიან მოკლულები და დაჭრილები. ქალაქში ბევრგან ცეცხლი პრიალებს, იწვის მთელი უბნები, ალი მოედო შუშის, ჯებრაილის და ხანგეზურის მაზრებს. არსად აღარ ინდობენ ერთმანეთს სომხები და თათრები. თხოულობენ ჯარის გაგზავნას. შიშში ჩავარდნენ ევლახის მცხოვრებნი და მოსამსახურენი. სადგურზე „ნადეჟდას“ ამხანაგობამ დაკეტა თავისი კანტორა. რკინის გზის მოსამსახურენი შეიარაღებას თხოულობენ.

◆ **დასრულდა კრება რკინის გზის მოხელე-მოსამსახურეთა წარმომადგენლებისა.** როგორც ვიცით, კრებას უნდა აერჩია დელეგატები პეტერბურგში გასაგზავნად და საპენსიო კასსის წესდების განსახილველად.

◆ **სრულიად სომეხთა კათალიკოსს** საეკკლესიო ქონების დაბრუნების გამო გამოუცია ეპისტოლე მღვდლებისა და მრევლის მიმართ. კათალიკოსი დიდის მადლობით იხსენიებს ამ ამბავს, ურჩევს მთელ სომხობას ყოველ წელიწადს იდღესასწაულოს საეკკლესიო ქონების დაბრუნების დღე და გადაიხადოს პარაკლისები.

◆ 17 აგვისტოს ტფილისიდან გოლისში მიდიოდა ფოსტა, რომელსაც თან მიჰქონდა 19,000 მან. გზაზე, ერთს ტყეში, **ფოსტას თავს დასცემიან შეიარაღებული ყაჩაღები.** მეეტლეს ცხენები არ შეუყენებია და ყაჩაღებს თოფების სროლა დაუწყიათ. დაუჭრიათ დარაჯი და ფოსტალიონი, ეს უკანასკნელი სასიკვდილოდ. ის იყო ყაჩაღები უნდა შესდგომოდნენ ნადავლის წაღებას, რომ თავს წასტეხიან დილიჟანით მომავალი მგზავრები. ყაჩაღებს ფოსტა მიუტოვებიათ და დამალულან. გუშინ ტფილისიდან წავიდა ყაზახებით მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ვოზნესენსკი. ადგილობრივ საყარაულოების დარაჯები ყაჩაღებს გამოსდევნებიან და ატეხილა სროლა, მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ.

◆ **სამხედრო სამართალში მიუციათ შიათურის მცხოვრებნი აზნ.** პლატონ და შალვა ჯაფარიძენი, გლეხნი სოლომონ ჩხაიძე, სევასტიან სანაძე, სარდიონ კაპანაძე, იოსებ კირკიტაძე და დიაკვნის შვილი მიხეილ ვაშაძე. ამათ ჰბრალდებათ სხვა და სხვა დანაშაულობის ჩადენა 24—25 თებერვალს ჭიათურაში; სახელდობრ—მკვლელობის განზრახვა, სასიკვდილოთ დაჭრა, სახლის გადაწვა და სხვა. საქმე საომარ დროის წესებით გაირჩევა (კ. ვ.).

◆ ხვალ, 20 აგვისტოს, ნამესტნიკის საბჭოში განიხილავენ საკითხს **ახალ სასკოლო პროგრამის შესახებ.**

◆ რკინის გზის უფროსმა აცნობა ნამესტნიკის კანტორას, რომ 16 აგვისტოს სახელოსნოს მუშა რითველიშვილი ავად გახდა **საეჭვო სენით, რომელიც ხოლერასა ჰგავსო.** ავადმყოფი ლაზარეთში დააწვინეს.

◆ 26 **აგვისტოს ტფილისში მოხდება კრება** ტფილისის მაზრის კერძო მემამულე-

---

ფელეტონი

საზოგადოება და პიროვნება

თარგმანი

სოციალისტური საზოგადოება რომ თავის წევრებს კეთილდღეობასა და უზრუნველყოფას მიანიჭებს,—ამაზე ბევრი მოწინააღმდეგე-კი გვეთანხმება. მაგრამ ეს უზრუნველყოფა,—ამბობენ ისინი,—ძვირად დაუჯდებათ მომავალ საზოგადოების წევრებს, რადგან, სამაგიეროდ, ეს წევრები დაჰკარგავენ მთელ თავიანთ თავისუფლებას. გალიაში დამწყვდეული ფრინველი დაიმედებულია, რომ ყოველ დღეს მისცემენ საჭმელს; ის უზრუნველყოფილია შიმშილისა, სიცივისა, მტრის თავდასხმისაგან. მაგრამ აკლია თავისუფლება და, ამიტომ, საბრალოა მისი არსებობა, იგი მიილტვის იქ, სადაც მოელის ათასნაირი ხიფათი, კაჭკაჭები და საარსებო ბრძოლა.

სოციალიზმით, ამბობენ ისინი,—მოისპობა ეკონომიურ თავისუფლებას, თავისუფლებას შრომისას. მას მოჰყვება ისეთი მტარვალობა, რომლისაც თვით განუსაზღვრელი პოლიტიკური აბსოლუტიზმი თავისუფლებას წარმოადგენს, ვინაიდან აბსოლუტიზმს დატყვევებული ჰყავს მხოლოდ ერთი მხარე კაცისა, სოციალისტურ დესპოტიზმს კი მთელი კაცი.

სოციალიზმის მოწობის წინაშე შიში იმდენად დიდია, რომ მას შეუშინდია ზოგიერთი სოციალისტიც-კი. ესენი არიან ანარქისტები. მათ კომუნიზმისა ეშინიათ არა ნაკლებ საქონლის წარმოებისა (ТОВАРНАГО ПРОИЗВОДСТВА) და ცდილობენ თავიდან აიცილონ უბედურებანი ერთისაც და მეორისაც... ორივეს შეერთებით. მათ უნდათ კომუნიზმი საქონლის წარმოებასთან ერთად; თეორიაში ეს აბსურდია, პრაქტიკაში კი იგი წარმოადგენს ცნობილ ლიბერალურ „თვით დახმარების“ მუშათა ასოციაციებს. მართალია, სოციალისტურ წარმოებაში ადგილი არ ექნება შრომის სრულ თავისუფლებას, ე. ი. მუშის თავისუფლებას სადაც უნდა, როდესაც უნდა და როგორც უნდა ისე იმუშაოს. მაგრამ ამნაირი თავისუფლება მომუშავეს შეუძლებელია იქ, სადაც რამდენიმე პირი ერთად მუშაობს, სულ ერთია, კაპიტალისტურ ნიადაგზე ეს ერთად მუშაობა თუ ასოციაციის ნიადაგზე. შრომის თავისუფლება, ისიც არა სრული, შესაძლებელია მხოლოდ წვრილ წარმოებაში. იქაც კი, სადაც წვრილი წარმოება თავისუფალია ყოველგვარ შემბორკავ დადგენილებათაგან—ძალდატანებითი თესლის შეთანხმება (СЪВООБОРОТЪ) ყანებში, ამქრული ძალდატანება—კერძო მუშა მაინც დამოკიდებულია ბუნებრივ ფაქტორების ზეგავლენისაგან, მაგალითად, ცუდი ამინდისაგან, ხელსაყრელი ბაზრის მდგომარეობისაგან და სხვა. ყოველს შემთხვევაში, წვრილი წარმოება შესაძლებლად ხდის შრომის ასეთს თუ ისეთს თავისუფლებას, და ეს თავისუფლება წარმოადგენს ყველაზე უფრო რევოლუციონურ იდეალს წვრილ ბურჟუას იდეალთაგან, რომლის ჰორიზონტი ვერ გასცდენია წვრილ წარმოებას.

ასი წლის წინად, საფრანგეთის რევოლუციის დროს, ამ იდეალს კიდევ ჰქონდა საფუძველი ეკონომიურ პირობებში. ახლანდელ დროში მან სრულებით დაჰკარგა ფასი. მხოლოდ ისეთ კაცების თავში არ დაუკარგავს მას ფასი, რომელნიც ვერ ამჩნევენ წინად მომხდარ ეკონომიურ რევოლუციას. წვრილ წარმოებასთან ერთად აუცილებლად იღუპება შრომის თავისუფლებაც; მას ჰკლავს შეუწყნარებელი ზრდა სხვილ მრეწველობისა. სწორედ ისინი, ვისაც ყველაზე უფრო დაუჩაგრიათ შრომის თავისუფლება—კაპიტალისტები—ყველაზე უფრო უწყობენ ხელს მის მოსპობას.

თავისუფლება არ არსებობს არა მარტო საფაბრიკო შრომისთვის, არამედ ყოველგვარ შრომისთვის, როცა პიროვნება მოქმედებს როგორც უბრალო ნაწილი მთელისა. ეს თავისუფლება არ არსებობს დეტალურ სამუშაოს შემსრულებელთათვის მანუფაქტურასა და მანქანურ მრეწველობაში; იგი არ არსებობს არც იმ მომუშავე ინტელიგენტთათვის, რომელნიც მსახურობენ დაწესებულებებში. საავადმყოფოს ექიმი, ისე როგორც სკოლის მასწავლებელი, რკინის გზის მოხელე, როგორც ჟურნალისტი და სხვ.,—ყველა მოკლებულია შრომის თავისუფლებას, რადგან ყველა შეკრულია განსაზღვრულ წესებით და იძულებულია იმუშაოს დანიშნულს ადგილზე, განსაზღვრულ დროს და სხვ. და რადგან საინტელიგენტო შრომის სფერაშიაც, ისე როგორც სხვა დარგებში, მსხვილი წარმოება ანადგურებს წვრილ წარმოებას, ამიტომ თანამედროვე საზოგადოებაში „აზრის მუშაკთათვისაც“ უფრო და უფრო ვიწროვდება შრომის თავისუფლება.

მართალია, კაპიტალისტურ მსხვილ მრეწველობის ბატონობის დროს მუშას კიდევ აქვს შერჩენილი ერთგვარი თავისუფლება. თუ ამას არ მოსწონს ერთ სამრეწველო დაწესებულებაში მუშაობა, შეუძლიან სხვაგან მოსძებნოს სამუშაო; შეუძლიან ერთის სამსახურიდან მეორეზე გადავიდეს. სოციალისტურ საზოგადოებაში კი ყველა საწარმოვო საშუალება ერთის ხელშია, იქ მხოლოდ ერთია „სამუშაოს მიმცემი“, რომლის გამოცვლაც შეუძლებელია. მაშასადამე, ამ მხრივ დღევანდელ ქირის მუშას სოციალისტურ საზოგადოების მუშასთან შედარებით მეტი თავისუფლება აქვს, მაგრამ ვერც ამას დავუძახებთ ნამდვილ თავისუფლებას. რაც უნდა ხშირად გადავიდეს ერთის ფაბრიკიდან მეორეში, მაინც ვერსად ნახავს იმ შრომის თავისუფლებას; ყველგან ცალკე მომუშავეს მუშაობა განსაზღვრულ-გაწესრიგებულია. ამას თხოულობს ტექნიკური აუცილებლობა.

ის თავისუფლება, რომლისაც მუშა სოციალისტურ წარმოებაში დაჰკარგავს, არ არის შრომის თავისუფლება, ის არის მხოლოდ მუშისაგან თავისთვის ბატონის ძებნის თავისუფლება. ჩვენს დროში ამ თავისუფლებას თავისი მნიშვნელობა აქვს: ის იცავს მუშას უზომო ექსპლოატაციისაგან, როგორც ეს კარგად იციან მონოპოლიურ დარგში მომუშავეებმა. მაგრამ ეკონომიური განვითარება ამ თავისუფლებასაც უფრო და უფრო საეჭვოდ ხდის: განთავისუფლებულ ადგილებს უფრო და უფრო სჭარბობს კანდიდატთა რიცხვი, რაც აჩენს უმუშევრობას, „უქმობას“. უმეტეს ნაწილად მუშა დიდის სიხარულით დადგება ცუდ ადგილზედაც, ოღონდ კი იშოვნოს ასეთი ადგილი. ხოლო საწარმოვო საშუალებათა კონცენტრაციის ზრდა ამცირებს რა „სამუშაოს მიმცემთა“ რიცხვს, უძნელებს მუშებს „სამუშაოს მიმცემის“, წარმოების პატრონთა გამოცვლას.

ის, რასაც კაპიტალიზმის დამცველნი სოციალდემოკრატებს, ამ კულტურისა და თავისუფლების მტერთ“ აბრალებენ, წარმოადგენს. თანამედროვე საზოგადოებაში ეკონომიურ განვითარების ბუნებრივ ტენდენციას. ეს ასეა როგორც ამ შემთხვევაში, ისე დანარჩენებშიაც.

სამუშაოს არჩევის თავისუფლებას, აგრეთვე თავისუფლებას თვით მუშაობის დროს—ამ თავისუფლებას სპობს ეკონომიურ განვითარების მსვლელობა. სოციალდემოკრატიას არ უნდა და არც შეუძლიან ამ განვითარების შეჩერება, მაგრამ ის, როგორც სხვა საკითხების მხრივ, ამ მხრივაც ამ განვითარებას აძლევს სხვა, მუშებისთვის სასარგებლო მხარეს. მას არ ძალუძს მოსპოს მომუშავეს დამოკიდებულება მეურნეობის მთელ მექანიზმისაგან, სადაც ის მხოლოდ ერთ თვალს წარმოადგენს; მაგრამ კაპიტალისტისაგან დამოკიდებულების ადგილს, რომლის ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება მუშის ინტერესებს, ის დააწესებს დამოკიდებულებას საზოგადოებისაგან, რომელშიაც თვითონაც შედის წევრად, იმ საზოგადოებისაგან, რომელიც სწორუფლებიან და ერთისა და იმავე ინტერესების მქონებელ ამხანაგებისაგან შესდგება.

ასეთი დამოკიდებულება ეჩვენება აუტანლად რომელსამე ლიბერალ ადვოკატს ან ლიტერატორს, ხოლო თანამედროვე პროლეტარს კი არა, როგორც ამტკიცებს ამას დღევანდელი პროფესიონალური მოძრაობა. პროფესიონალური კავშირები სწორედ მომავალ „სოციალისტურ სახელმწიფოს ტირანიის“, რომელიც მუდამ ენაზე აკერიათ თანამედროვე წვრილ-წარმოების დამცველთ. ამ კავშირებში თვითეულ წევრის შრომის პირობები ჯერ ეხლავე დაწვრილებით განსაზღვრული და გაწესრიგებულია, მაგრამ ჯერ არც ერთ წევრს არ მოსვლია თავში, რომ მისი პირადი თავისუფლება შელახულია, არც ერთს არ უგრძვნია „ტირანიის“ აუტანლობა. ასეთი „ტერორიზმისაგან“ თუ ვინმე იცავდა „შრომის თავისუფლებას“,—ხშირად იარაღის საშუალებით, სისხლის ღვრით.—ესენი იყვნენ არა მუშები, არამედ იმათი ექსპლოატატორები. თავისუფლების დამცველებად გამოდიან... მონათმფლობელნი. საბრალო თავისუფლება!

მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის უთავისუფლება არა მარტო დღევანდელ ჩაგვრის ხასიათს დაჰკარგავს,—ის დაედება საფუძვლად უმაღლეს თავისუფლებას, როგორც კი შესაძლებელი იქმნება აქამდე კაცობრიობისთვის.

ეს თითქო წინააღმდეგობაა. მაგრამ წინააღმდეგობა მხოლოდ პირველი შეხედვით გვეჩვენება.

სანამ მსხვილი მრეწველობა აღორძინდებოდა, მანამდე ადამიანები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, მთელ თავიანთ ფიზიკურსა და გონებრივ ძალას უსაჭიროესი საგნების მოპოებას ანდომებდნენ. ასეთს მდგომარეობაში იყო არა მარტო მონადირე და მეთევზე, არამედ გლეხიც, ხელოსანიც, ვაჭარიც; მთელს თავის სიცოცხლეს კაცი ანდომებდა მხოლოდ „კუჭისთვის“ სამსახურს, უსაჭიროესი საგნების წარმოებას. შრომა ართობდა იმის გრძნობას, ნერვებს, ავითარებდა მის მოხერხებას, გამოგონების უნარს, ცოდნის წყურვილს, მაგრამ რაც უფრო ვითარდებოდა შრომის განაწილება, მით უფრო ცალმხრივდებოდა მწარმოებელი. მისი სხეული და სული ყოველმხრივად აღარ ვარჯიშობდა და აღარ ვითარდებოდა. რაკი მუშები ერთ ვიწრო, დეტალურ სამუშაოში იყვნენ გართულნი, ამიტომ თანდათან ჰკარგავდნენ გარშემო მოხდარ სხვა და სხვა მოვლენის შეგნების ნიჭს. ფიზიკურისა და გონებრივის ძალთა ჰარმონიული, ყოველ მხრივი განვითარება, საზოგადოებისა და ბუნების გულმოდგინედ შესწავლა, ფილოსოფიური აზროვნება, ე. ი. უმაღლეს ჭეშმარიტებათა უანგარო ძებნა და იდეალებისადმი მისწრაფება,—ყველა ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მათთვის, ვინც საწარმოვო შრომისა-

თა, სავაჭრო დაწესებულების პატრონთა და იმ გლეხთა, რომელთაც ნადელებს გარდა შეძენილი მამული აქვთ. ამ კრებამ უნდა აირჩიოს წარმომადგენელნი სამაზრო საბჭოში, რომელიც განიხილავს საკითხს საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. კრება დაიწყება დილის 10 საათზე და მოხდება თავად-აზნაურთა ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

◆ 22 აგვისტოს მოხდება ტფილისის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება. საბჭომ უნდა აარჩიოს ექვსი წარმომადგენელი სამაზრო საბჭოში, რომელიც განიხილავს საკითხს **საერობო დაწესებულებათა შემოღების** შესახებ.

◆ ახალციხის მაზრაში ყველა **ქართველ მართლ-მადიდებლებით დასახლებული** სოფელი გოგაშენი ამ სოფელს საშინლად აწუხებენ თურმე მომთაბარე ქურთები. სოფლის შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე და უთხოვნია დახმარება აღმოუჩინოს ქურთების წინააღმდეგ და თანაც გააუმჯობესოს იმათი ქონებრივი მდგომარეობა.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ კოდის **გლეხებს სხვა და სხვა შუამდგომლობა აღუძრავთ** მთავრობის წინაშე მიწათ-მფლობელობის შესახებ.

◆ თელავის მაზრის **გლეხებს**, ოცდა ხუთ კომლს, შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სახელმწიფო ადგილები მიეცეთ.

◆ დუშეთის მაზრის სოფ. **ანანურის გლეხებს უთხოვნიათ** ნამესტნიკისთვის ის მიწები, რომელიც საზოგადოებას ნადელებად აქვს მიცემული, თითოეულ კომლზე ცალკე და ამით ყოველივე უთანხმოება მოისპობა გლეხებს შორისაო. ნამესტნიკს შეუწყნარებია აღნიშნული თხოვნა.

◆ თელავის მაზრის სოფელ საცხენისში სცხოვრობენ **შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული რუსები**: ამათ ახლა ხან შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სახელმწიფო მიწები ტფილისის მაზრაში მიეცეთ. რუსები სწერენ, ეხლანდელს სოფელში ძალიან შევიწროვებულნი ვართო.

◆ ბორჩალოს მაზრაში **მაჰმადიანთა რამდენიმე სოფელი** ეს ორი სამი წელიწადია მოუსავლობით ძლიერ შესწუხდა. ამ მაჰმადიანებმა ეხლა ხან შუამდგომლობა აღძრეს, რაიმე შემწეობა აღმოგვიჩინეთო.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორად ნამყოფმა ვ. ი. რცხილაძემ განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. ბ-ნი რცხილაძე წინადადებას აძლევს გამგეობას ეხლავე იზრუნოს, რომ შემოდგომიდან **სახელოსნო სკოლაში განახლდეს სწავლა დედა ენაზე**, როგორც ეს ამ ოთხი წლის წინად იყო.

◆ 22 აგვისტოსთვის ტფ. საბჭოს **ხმოსნები** მოწვეულნი არიან **კერძო თათბირზე**. ხმოსნებმა უნდა მოილაპარაკონ ქალაქის 6 წარმომადგენლის არჩევანზე.

◆ **ჯილდოების დარიგებაც სწორედ ისეთი უნდა**, როგორიც კავკასიის რკინის გზის უფროსებს სცოდნიათ. „ნ. ც.“-ს სიტყვით, 1904 წლის მოგებიდან კავკასიის რკინის გზის უფროსს ჯილდოდ აულიათ 10,000 მანეთი, ექსპლოატაციის უფროსს—5,000 მან., სხვა და სხვა ნაწილის უფროსს, თითოს—3,000 მან., ამათ თანაშემწეებს, თითოს—1500 მ., ხოლო კანტორის მოხელეს—60 მან., ტელეგრაფისტს—20 მან. და მეისრეს—10 მან.

◆ **9 აგვისტოს ხოხუმში**, როგორც „ს. ვესტ.“-ი გადმოგვცემს, ერთ მატროსს ქუჩაში „ჩესტი“ გაუკეთებია ოფიცრისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და ისე გაუვლია. მაშინ მატროსი მისულა და უკითხნია, რატომ ყურადღება არ მიაქციეთ ჩემ „ჩესტს“ და პასუხი არ გამეცითო. ოფიცრის განკარგულებით, მატროსი დაუპატიმრებიათ.

◆ ქუთაისის გუბერნატორს კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის წარუდგენია ფოთის ქალაქის შუამდგომლობა **ტყვარჩელიდან ოჩამჩირემდე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანის შესახებ**. ქალაქი თხოულობს, კონცესია მიეცეს ტყვარჩელის ქვანახშირის საზოგადოებას.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზას 1904** წელს შემოსვლია ოცდა ცამეტი მილიონი და 330 ათასი მანეთი.

◆ **სოხუმის ოლქის უფროსი პოლკ. არღუტინსკი**, როგორც „ს. ც.“-ს გაუგია, დაინიშნება ტფილისის სამხედრო-საფერშლო სკოლის უფროსად.

◆ **ტფილისის ახალი გუბერნატორი** ფონ-რაუტი უკვე წამოვიდა პეტერბურგიდან და ამ დღეებში ჩამოვა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბაქო, 18 აგვისტო. დაიწყო სამხედრო სასამართლოში ბაქოს გუბერნატორად ნამყოფის თავ. ნაკაშიძის მოკვლის საქმის განხილვა.

სამხედრო სასამართლოს პროკურორმა განასაჩივრა განაჩენი ჩარუხჩიანის შესახებ. ჩარუხჩიანს და ორ სხვას ჰბრალდებათ თავ. ნაკაშიძის მოკვლის განზრახვა. სასამართლომ ამ ორი დღის წინად ყველანი გაამართლა.

პეტერბურგი, 17 აგვისტო. „სლოვო“ იუწყება, ახლო მომავალში პეტერბურგიდან საგანგებო კომისია გაემგზავრება გორემიკინის თავმჯდომარეობით და საგანგებოდ დანიშნულ პირთაგან აგრარულ მოძრაობის სიდიდისა და ხასიათის გამოსარკვევად. წინ და წინ სხდომა იქნება საგანგებო რჩევას გუბერნატორების მიერ წარდგენილ მოხსენების მიხედვით. გრაფ იგნატიევის აზრით, აგრარული მოძრაობა აღმოცენდა საერობო და ადგილობრივ პოლიციის დაუდევრობით და უმოქმედობით და ადვილად შეიძლება სასტიკ ზომებით ამ მოძრაობის მოსპობაო.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ საზღვაოსნო ნაოსნობის მთავარმა სამმართველომ განკარგულება მოახდინა, მოამზადონ საიგონსა და შანჰაიში მყოფი გემები რუსის ტყვეების წამოსაყვანად. ამას გარდა შეუდგნენ ზოგიერთ რუსისა და უცხოელის გემის პატრონებთან მოლაპარაკებას ამავე საგნის შესახებ.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ საბოლოოდ გადაწყდა საკითხი მინისტრთა კაბინეტის შედგენის შესახებაო. ყველა კანონ-პროექტი, რომელიც-კა სახელმწიფო სათათბიროში უნდა იქნას შეტანილი, მინისტრთა კაბინეტის ხელში გაივლის. პრემიერ-მინისტრად ვიტტე იქნება.

საერო განათლების სამინისტროში მოხდა მეორე თათბირი სასწავლებლებში სწავლის განახლების შესახებ. აღნიშნეს სხვა და სხვა საშუალება, რომელსაც დააკავშირებენ უმაღლესი სასწავლებლის გახსნასთან. ერთ უმთავრეს პირობად მიჩნეულია საერთო და შეთანხმებული მოქმედება სხვა და სხვა უწყებებისა. თათბირის შედეგს დიდ საიდუმლოდ ინახავენ. როგორც „სლოვო“ იუწყება, საერო განათლების სამინისტრო შუამდგომლობს, გადაიდოს ერთი მილიონი მანეთი ამ ხარჯის დასაფარავად, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლები სწევენ თავიანთ სპეციალურ თანხებიდან. ეს შუამდგომლობა აიხსნება იმით, რომ უმაღლეს სასწავლებლებს უმოქმედობის დროს ლექციების მოსმენის ფული არ მიუღია.

როგორც „ბირჟ. ვედ.“ სწერს, 17 აგვისტოს პეტერგოფში მოხდა თათბირი სახელმწიფოს დიდ მოხელეებისა. ამ თათბირს წინ უძღოდა კერძო მოლაპარაკება უმაღლეს პირებისა. განიხილეს ის ეპისტოლე, რომლითაც ხალხს ეუწყება რუსეთ-იაპონიის შეთანხმების ამბავი. ამავე დროს გამოცხადებული იქნება ბრძანება ამნისტიის შესახებ.

სასამართლო

ბაქოს გუბერნატორის თავ. მ. ა. ნაკაშიძის მოკვლა.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

დღეს, 18 აგვისტოს, ბაქოში ირჩევა თავ. მ. ა. ნაკაშიძის მოკვლის საქმე. სამხედრო სასამართლოში მიცემულნი არიან სიონ ზადოიანცი, გიორგი მეირამოვი, პეტრუს სახაკიანცი, ლევან არუთიანოვი და მანას ადასიანცი. სასამართლოს თავმჯდომარეობს გენ.-მაიორი რუდნიცკი, ბრალს სდებს პოდპოლკოვნიკი მოსგოშენკო, ხოლო ბრალდებულთა დამცველებად არიან ნაფიცი ვექილნი ხარუზინი, მერაგიოვი და ენგიბაროვი.

საქმის გარემოება, როგორც საბრალდებულო ოქმიდან სჩანს, შემდეგია: ამ წლის 11 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ბაქოს გუბერნატორი თავ. მ. ა. ნაკაშიძე, რომელსაც ახლდა ესაული ზაქარია თაყაიშვილი ეტლით მიდიოდა ვორონცოვის ქუჩით პარაპეტის გასწვრივ, როცა ეტლი ვორონცოვის ქუჩაზე შებრუნდა და გაუსწორდა კუშნაროვის მაღაზიას, ეტლს მოხვდა ყუმბარა, რომელიც გასკდა და მოკლა თავ. ნაკაშიძე, ესაული თაყაიშვილი და იქვე მაღაზიის ახლოთ მდგომი სპარსეთის ქვეშევრდომი მეშადი-აღა-ოღლი და გასან-კულამ-მირზა ოღლი; მეეტლე გადავარდა და მძიმედ დაიჭრა. იგი 18 მაისს კიდეც გარდაიცვალა.

გამოძიებამ აღმოაჩინა შემდეგი: მოწმემ სტრელკოვმა აჩვენა, რომ თავ. ნაკაშიძის მოკვლის დღეს, სადამოს 7 საათზედ, მადაკნების სადაბოდკაში შეიყარნენ მუშები. როდესაც ჯერ ოცი კაცის მეტი არ იყო, ერთმა მუშათაგანმა, უმაწვილმა კაცმა, სთქვა, თავ. ნაკაშიძე მე მოვკალიო. ამის სიტყვით, ანგარიში გაუსწორდა ქარხანაში, სადაც მსახურებდა, და წავიდა ნათესავებთან, მერმე ისევ დაბრუნდა ბაქოში. მისგან გადაგდებულმა ყუმბარამ ჩაამსხვრია ფანჯრის შუშები და ამან უეჭველად მიმალულიყო, რადგან იქ დამსწრეთ ეგონათ, რომ ყუმბარა ფანჯრიდან ისროლეს. ის წავიდა პირდაპირ იმ ქარხანაში, სადაც წინად მსახურებდა და ჩაიძინა, ვითომ მთელ დღეს ქარხანაში იყო. ამ რიგად იმან მოახერხა alibi-ს დამტკიცება. როდესაც ხალხი საკმაოდ შეიკრიბა, თავმჯდომარემ წინადადება მისცა, განეცხადებინათ ქარხნების წარმომადგენლებს მუშების საჩივრებები. პირველად წამოდგა იგივე უმაწვილი კაცი, როგორც ხატისოვის ქარხნის წარმომადგენელი, და განაცხადა, რომ გაფიცვის საქმე იმათ ქარხანაში კარგად არის მოწყობილი, რადგან თვით ხატისოვი მუდამ არის მხარი დაუჭიროს მუშებს, გაფიცვის დროს მატერიალურადაც-კი, მაგრამ სთხოვს გაფიცვას ნუ დაიწყებენ, რადგან ქარხანას ამ მხრივ მთავრობა კარგად იცნობს. როდესაც პოლიციამ გაიგო ეს, 12 მაისს გაჩხრიკა ხატისოვის ქარხანა. სტრელკოვმა იცნო უმაწვილი მუშა, რომელიც შეიპარა ქარხანაში. რამდენიმე პროკლამაციის და რევოლვერის გარდა ვერაფერი ვერ იპოვნეს. მუშა აღმოჩნდა გიორგი ივანეს ძე მეირამოვი. 13 მაისს ერევნელმა მოქალაქემ ლევანმა, მოვიდა თუ არა ბაქოდან კრასნოვოდსკში, გამოუცხადა ადგილობრივ პოლიციის ბოქაულს, რომ წინა დღით, ის წამოვიდა ბაქოდან ერთ საეჭვო კაცთან ერთად, რომელიც თავს არიდებდა. მისის სიტყვით, თავ. ნაკაშიძე მოჰკლა თვრამეტის წლის უმაწვილმა კაცმა. ამ განცხადების მიხედვით ბოქაულმა შეიპყრო ლევანის თანამგზავრი, რომელიც აღმოჩნდა შუშელი, სიონ ზადოიანცი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ზადოიანცს წინად პატარა დუქანი ჰქონია ბაქოში. 7 მაისს ეს დუქანი მიუყიდნია ვიღაც სარაჩეტიანცისთვის.

21 მაის ვიღაც ქერბალაი-ასად-აღა-მეშედი-აზა-აღა ოღლიმ განუცხადა გამომძიებელს, რომ 11 მაისს აფეთქებამდე წინ თავის ნაცნობ მეშადი-მირ-ალი-ოღლისთან ერთად იყო კუშნაროვის მაღაზიის მახლობლად და შეამჩნია, რომ მაღაზიიდან გამოვიდა ვიღაც კაცი პატარა ტანისა, პატარა წვერით და მოინდომა გაეგდებინა იქ მდგომი მეხილე თათარი, რომელიც მაღაზიის მახლობლად იჯდა. თათარი ეკამათებოდა, სომეხი კი ეუბნებოდა, რომ ამ ადგილას მალე დაიწყება თოფის სროლაო. ქერბალაი და ადლი დაინტერესებულნი ამ შემთხვევით მიდგნენ შორი-ახლოს და ცქერა დაუწყეს. მეხილემ ბოლოს დაუჯერა და მალე ცოტა მიაშორდა. მაშინ უცნობმა კაცმა იმავე თხოვნით მიმართა მეორე თათარს, რომელიც გვერდზედ იდგა. ბოლოს უცნობმა კაცმა სთხოვა ქერბალაისა და ადლის, რომ ისინიც მოშორებულიყვნენ იმ ადგილს, აგრეთვე სთხოვა ვიღაც ქალს. მერმე ილაპარაკა რაღაზედაც თავის ორ ამხანაგს, რომელნიც ქვაფენილზედ იდგნენ და შევიდა მაღაზიაში. მაღაზიის ფანჯარაში კარგად სჩანდა, რომ ის იქ ვიღაცას ესაუბრებოდა. ამ დროს ერთი იმათგანი, რომელნიც ქუჩაში იყვნენ, შეუდგა იქ მყოფ პირთა გაძევებას ქუჩიდან. გარდა ამისა სრულიად ახალგაზრდა, უწვერ-ულვაშო ყმაწვილი, ვორონცოვის ქუჩაზე დადიოდა და აქედან ხმარად რაღაცას ანიშნებდა ქვა-ფენილზე მდგომთ. ბოლოს გამოჩნდა თავ. ნაკაშიძის ეტლი და, როცა ვლადიკავკაზსკის პროსპექტზე გადაუხვია, მაღაზიიდან გამოვარდა ის კაცი, რომელიც მაღაზიაში შესული ესაუბრებოდა და ყუმბარა ისროლა. შემდეგში ქერბალაიმ მიახვედრა და გაიგო იმ კაცის ბინა, რომელიც ქუჩიდან (მაღაზიის წინ) იქ მყოფთ ერეკებოდა. გაიგო აგრეთვე, რომ იმასთან დადიოდნენ ის ორნიც, რომელთაგან ერთი ქვა-ფენილზე იდგა, ხოლო მეორე ვორონცოვის ქუჩაზე უკვირდებოდა. ადლი მიხაილ-ოღლიმ სრულიად დაამოწმა ქერბალაის ნაამბობი იმის შესახებ, რაც კუშნაროვის მაღაზიასთან მოხდა. ამიტომ ქერბალაის მიერ ნაჩვენებ სახლში მოახდინეს გაჩხრეკა და დააპატიმრეს ვინმე პეტრუს სახაკიანცი. ქერბალაის და ადლის სიტყვით, სწორედ ეს სახაკიანცი იდგა „ბუტკა“-სთან; აქ დიდხანს სდგა, მაგრამ არ დაითაგა ჩოქა, ხელში ეჭირა რაღაც რგვალი ნივთი და გაექცა ვლადიკავკაზ. ქუჩაზე, სადაც კუთხეში დადგა. მისი ამხანაგიც მივიდა და იქვე პარაპეტთან დადგა. ერთის წუთის შემდეგ ამან თავის ქუდით რაღაც ანიშნა მეორეს („ბუტკა“-სთან მდგომს), უკანასკნელმა კი გაისროლა ის რგვალი ნივთი, რომელიც ხელში ეჭირა. ნივთი ყუმბარა აღმოჩნდა, რომელიც მაშინვე გასკდა. როდესაც ბრალდებულნი წარუდგინეს ქერბალაის, იმან ვერავინ ვერ იცნო. 26 მაისს, ხსენებულ ქერბალაის და ადლის ჩვენებით, დააპატიმრეს ლევან არუთინოვი და მანას ადასიანცი. მათ შორის პირველი, მოწმეების სიტყვით, „ბუტკა“-სთან იდგა სახაკიანცთან ერთად, ხოლო ადასიანცი ქუჩაზე დარბოდა და ნიშნებს იძლეოდა. ამასთან პოლიციელმა კასიმოვმა, რომელმაც დააპატიმრა ადასიანცი, სთქვა, რომ დაპატიმრებულ ადასიანცს კარს შემოეხვია ხალხი და ემუქრებოდა, ასე რომ დაპატიმრებული იძულებული იყო ამოეღო რევოლვერი. ქუჩაზე და ახლო ბალკონებზე მერმე შესძლიეს მას (კასიმოვს) 100—300 მანეთი ადასიანცის გასანთავისუფლებლად. როდესაც ქერბალაიას და ადლის აჩვენეს უწინ დაპატიმრებული ზადოიანცი და მეირამოვი, იმათ განაცხადეს, რომ ზადოიანცი სწორედ ის პირია, რომელმაც ყუმბარა ისროლა, მეირამოვი კი მეხილე-თათრებს დევნიდა, ხოლო შემდეგ კუშნაროვის მაღაზიაში შევიდა ზადოიანცთან მოსალაპარაკებლად.

რაც შეეხება იმ ორგანიზაციას, რომელმაც მოახერხა ეს მკვლელობა, ამის შესახებ გარკვევით ცნობებს იძლევა ორი პროკლამაცია. პროკლამაციები გამოცემულია შემდეგის სათაურით: „ქ. ბაქოს მცხოვრებთ“ და „ბრძანება რუსის მთავრობის კავკასიის ადმინისტრაციას მიმართ“. პირველი პროკლამაცია გამოცემულია სომხურ სარევოლუციო პარტიის „დაშნაკცუთიუნის“ ბაქოს ცენტრალურ კომიტეტის სახელით და აღნიშნულია 12 მაისის 1905 წლის თარიღით, მეორე კი სომხის სარევოლუციო ფედერაციის პასუხის მგებელ კომიტეტის სახელით და აღნიშნულია 18 მაისის 1905 თარიღით. პირველ პროკლამაციაში თავ. ნაკაშიძეს 6—9 თებერვლის ბაქოში სომხების ჟლეტის მოწყობა ჰბრალდება, რის გამო მას გადაუწყვეტეს სიკვდილით დასჯა. ამ გადაწყვეტი-

---

გან განთავისუფლებულნი იყვნენ. ასეთი განთავისუფლება-კი, სანამ მაშინური წარმოება შემოვიდოდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ, თუ ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი მეორეს თავის სასარგებლოდ ამუშავებდა, ე. ი. შესაძლებელი იყო მხოლოდ ექსპლოატაციის საშუალებით.

იდეალისტურის და ფილოსოფიურის თაობის ერთად-ერთ ნიმუშს, მეცნიერებისა და ხელოვნების უანგარო („ჭეშმარიტების ჭეშმარიტებისთვის“) მსახურთა საზოგადოების ერთად-ერთ მაგალითს წარმოადგენს ათენელი მონათმფლობელი მიწის არისტოკრატია. შრომას—არა მარტო მონურ შრომას, არამედ თავისუფალსაც—აკი სთვლიდა ადამიანის დამამცირებლად, და არც უსაფუძვლოდ. სრულიად გაზვიადებული არ არის სოკრატის შემდეგი სიტყვები: „თუმცა თავისუფალი დრო აუცილებლად საჭიროა კარგის აღზრდისათვის, მაგრამ გაჭირვების და ხელოსნების მოუცლელობის გამო როდი ეძლევათ განათლება. ისინი სწავლობენ იმას, რაც საჭიროა მათის პროფესიისთვის, მეცნიერებას თავის თავად არაფერი მომზადებისა არა აქვს მათთვის. მაგ., არითმეტიკას ისინი სწავლობენ მხოლოდ ვაჭრობისთვის, და არა იმისთვის, რომ რიცხვების ბუნებას გაეცნონ. ისინი მოკლებულნი არიან რისამე მაღლისადმი მისწრაფების ნიჭს. მრეწველი ამბობს: „ფულის სარგებელთან შედარებით არაფრად არა ღირს ის სიამოვნება, რასაც მეცნიერება და სახელი იძლევა. რაც უნდა დახელოვნებულნი იყვნენ თავიანთს ხელობაში მჭედლები, დურგლები და მეწაღეები, მაინც მონები არიან სულით, არ იციან, რომ არის კიდევ სიმშვენიერე, სიკეთე, სამართლიანობა“. მას შემდეგ ეკონომიურმა განვითარებამ ძალიან წაიწია წინ, შრომის განაწილება გასაოცარ სიმაღლემდის ავიდა, და საქონლის წარმოების გაბატონებამ-კი ექსპლოატატორები და განათლებული ხალხიც შეიყვანა მრეწველობის სფეროში. დღეს, მზგავსად გლეხებისა და ხელოსნებისა, მდიდრებიც მთლად გართულნი არიან მრეწველობაში. გიმნაზიებსა და აკადემიებში კი არ იზრდებიან ისინი, არამედ ბაზრებსა და ბირჟებზე; მათ ინტერესებს არა ჭეშმარიტება და სამართლიანობა, არამედ მატყლი, არაყი, რუსეთის სესხი და პორტუგალიის კუპონები. მათი გონების საუნჯე, სულიერი ძალა იხარჯება ამგვარ სპეკულაციებზე. ამ „მუშაობის“ შემდეგ ისინი მხოლოდ მსუბუქ სიამოვნებისთვის პოულობენ თავისში ძალასა და ინტერესს.

რაც შეეხება განათლებულ ხალხს, მათთვის, როგორც ვიცით, განათლება საქონლად გადაიქცა. მათაც არა აქვთ არც დრო, არც სურვილი ჭეშმარიტების უანგარო ძიებისთვის, მისწრაფება იდეალისადმი. თვითეული მათგანი ჩაფლულია თავის სპეციალურ საგანში და დაკარგულად მიაჩნია ყოველი წუთი, რომელსაც ისეთ რამეს მოანდომებს, რასაც იგი პრაქტიკულად ვერ გამოიყენებს. აქედან წარმოსდგება ახლანდელი მისწრაფება—საშუალო სკოლებიდან ლათინურისა და ბერძნულის გამოდევნა. ამ ენების წინააღმდეგ იმდენად პედაგოგიური მოსაზრებანი არა ლაპარაკობენ, რამდენადაც მისწრაფება ახალგაზრდობის აღზრდის განსაზღვრისა ისეთ საგნების სწავლებით, რაც შემდეგში „გამოადგება,“ ე. ი. რისიც ფულად ქცევაც შეიძლება.

მეცნიერების და ხელოვნების „მსახურნიც“ კარგავენ მისწრაფებას მთლიანობისადმი, ყოველმხრივის, ჰარმონიულის განვითარებისადმი. ყველგან ვხედავთ ცალმხრივ სპეციალიზაციას. მეცნიერება და ხელოვნება დაქვეითდა და გათანასწორდა ხელობას. მათზე ითქმის ის, რაც სოკრატმა ხელოსნების შესახებ სთქვა. ფილოსოფიური აზროვნება ჰქრება, ე. ი. ჰქრება ხსენებულ გაბატონებულ კლასებში.

მაგრამ გაჩნდა დრო და გაჩნდა ახალი სახის შრომა, შრომა მაშინასთან, და ახალი კლასი—პროლეტარიატი.

მაშინამ დაუკარგა შრომას ყოველი გონებრივი შინაარსი. მაშინაზე მომუშავესაგან საჭირო არ არის აზროვნება, იგი მხოლოდ პასიურად ემორჩილება მაშინას. მაშინა ასწავლის, რა გააკეთოს, მაშინა მბრძანებლობს, მუშა ხდება მაშინის დამატებად.

თითქმის ასევე ხდება შრომის მანუფაქტურასა და შინაურ მრეწველობაში. თუ წინად ხელოსნის შრომა ჰქმნიდა მთელს რაიმე საგანს, შემდეგ, მანუფაქტურაში, ეს შრომა ნაწილდება მთელ რიგ დეტალურ სამუშაოებად, რომელთაგან თვითეული—მარტივისა და უაზრო ოპერაციის საშუალებით—ჰქმნის მხოლოდ ნაწილს მთელის ნაყოფისას. შრომის ასეთი დანაწილება, როგორც ვიცით, მაშინიზმის წინამორბედია, მისი შესავალია.

პირველი შედეგი ასეთის ერთგვარ და უაზრო მუშაობისა პროლეტარისთვის არის იმის გონების დაჩლუნგება, სულის გაღარიბება.

მაგრამ შემდეგ სურათი იცვლება: მასში იღვიძებს ხანგრძლივ შრომის საწინააღმდეგო გრძნობა. მისთვის ცხოვრება და მუშაობა ერთი და იგივე აღარ არის. მისთვის ცხოვრება იწყება მხოლოდ მაშინ, როცა მუშაობას ათავებს. როცა მომუშავესთვის ცხოვრება და მუშაობა შეერთებულ-შეკავშირებულია, მაშინ მისთვის შრომის თავისუფლება ნიშნავს თავისუფალ ცხოვრებას. მაგრამ ის მუშა, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ მაშინ, როცა არა მუშაობს, თავისუფალ ცხოვრებას მოიპოვებს მხოლოდ მუშაობისაგან განთავისუფლების საშუალებით. რა თქმა უნდა, მუშების ამ კატეგორიის მისწრაფება ვერ მივა ყოველგვარ მუშაობისაგან განთავისუფლების მოთხოვნამდე: შრომა ხომ აუცილებელი პირობაა სიცოცხლისა. მაგრამ ეს მისწრაფება უთუოდ მიმართული იქნება საჭირო მუშაობის იმდენად შემცირებისაკენ, რომ დარჩეს კიდევ თავისუფალი დრო ცხოვრებისათვის.

ეს მისწრაფება უმთავრესი საფუძველია თანამედროვე პროლეტარების ბრძოლისა სამუშაო დროს შემოკლებისთვის; იმ ბრძოლისა, რომელსაც ძველი ყაიდის გლეხები და ხელოსნები გაოცებით შესცქერიან. ეს არ არის წვრილმან ეკონომიურ გაუმჯობესობისათვის ბრძოლა, მაგალითად, ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის, უსაქმოდ დარჩენილთა რიცხვის შემცირებისათვის; ეს მიზნები თავის როლს თამაშობენ სამუშაო დროისთვის ბრძოლაში, მაგრამ ეს ბრძოლა არსებითად არის ბრძოლა ცხოვრებისათვის.

მეორე მხრით, იმ ფაქტიდან, რომ მაშინამ შრომას დაუკარგა სულიერი შინაარსი, გამომდინარეობს კიდევ ერთი შედეგი: პროლეტარის სულიერი ძალა როდი იხარჯება, როდი იღლება მუშაობის დროს, როგორც ეს მოსდის სხვა მწარმოებლის სულიერ ძალას; მას მხოლოდ სძინავს ამ დროს. უფრო ძლიერია პროლეტარების მისწრაფება სულიერ ცხოვრებისადმი მუშაობის შემდეგ, თუ მუშაობა მეტად ხანგრძლივი არ არის. თანამედროვე საზოგადოების ერთ დამახასიათებელ მოვლენას შეადგენს პროლეტართა ცოდნის შეძენის წყურვილი. მაშინ, როდესაც სხვა კლასები სცდილობენ თავისუფალი დრო რაც შეიძლება უაზროდ გაატარონ, პროლეტარები ხარბად ეწაფებიან განათლებას. ვისაც უმოქმედნია პროლეტარებს შორის, მხოლოდ მას შეუძლიან გაზომოს მათის მისწრაფების ძლიერება ცოდნისა და განათლებისადმი.

და ეს მისწრაფება ცოდნისადმი სრულიად უანგაროა. მაშინაზე მომუშავეს ცოდნა ვერ გაუმრავლებს შემოსავალს. იგი ეძებს ჭეშმარიტებას მხოლოდ ჭეშმარიტებისათვის და არა მატერიალურ სარგებლობის გულისათვის. ამიტომ არა კმაყოფილდება კერძო, ვიწრო დარგით; ის ხვევს მთელს; სცდილობს შეიგნოს მთელი საზოგადოება, მთელი მსოფლიო. უძნელესი პრობლემები ყველაზე უფრო იზიდავენ მას, განსაკუთრებით უფრო ფილოსოფია, ეთიკა, და ხშირად იმის ზეციდან დედამიწაზე დაბრუნება გასაჭირო ხდება.

არა ცოდნა, არამედ ცოდნისადმი მისწრაფება ჰქმნის ფილოსოფოსს. აბუჩად აგდებულ, უფრო პროლეტარებში იღვიძებს ათენელ არისტოკრატიის ბრწყინვალე მოაზრეთა ფილოსოფიური მისწრაფება. მაგრამ ამ მისწრაფების დაკმაყოფილება შეუძლებელია თანამედროვე პროლეტარებში. პროლეტარებს არა აქვთ სწავლის საღსარი. მათ არა აქვთ მომზადება სისტემატიურ შესწავლისათვის, და იძულებულნი არიან მომართონ ძნელსა და საეჭვო სისტემით თვითგანვითარებას, მაგრამ უარესი ის არის, რომ მათ არა აქვთ საკმაო თავისუფალი დრო. მეცნიერება და ხელოვნება მათთვის წარმოადგენს აღთქმულ ქვეყანას, რომელიც ჯერ კიდევ შორიდან მოსჩანს და რომლისათვისაც ისინი მედგრად იბრძვიან.

მხოლოდ ახალი სოციალური საზოგადოება გაუხსნის პროლეტარიატს განათლებისაკენ გზას; მხოლოდ ის შეამოკლებს სამუშაო დროს ისე, რომ ცხოვრების საღსარიც საკმაოდ დამზადდეს და თავისუფალი დროც საკმაოდ დარჩეს ცოდნის შეძენისათვის. კაპიტალისტური წარმოება აღვიძებს პროლეტარებს ცოდნის წყურვილს, ხოლო სოციალისტური წარმოება კი მოუკლავს მათ ამ წყურვილს.

არა შრომის თავისუფლება, არამედ შრომისაგან განთავისუფლება მიანიჭებს კაცობრიობას არსებობის სიამეს, სამეცნიერო და სახელოვნო თავისუფლებას, კეთილშობილურ სიამოვნებათა თავისუფლებას. ამას შესძლებს მაშინიზმის მეოხებით სოციალისტური საზოგადოება.

ის ბედნიერი ჰარმონიული განათლება, რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო მთელს მსოფლიო ისტორიაში, როგორც ერთი მუჭა არისტოკრატების პრივილეგია, შეიქნება ყველა კულტურულ ხალხების კუთვნილებად; რასაც ბერძნებისთვის მონები აკეთებდნენ, იმას უკანასკნელთათვის მაშინები გააკეთებენ. ესენი იგემებენ შრომისაგან განთავისუფლების კეთილ ნაყოფს და ამავე დროს არც განიცდიან იმის იმ ცუდ მხარეების ზეგავლენას, რომლებმაც ბოლო მოუღო ათენელ მონათ მფლობელ არისტოკრატიას. და რამდენადაც მეცნიერებისა და ხელოვნების თანამედროვე საშუალებანი უფრო ძლიერია მათზე, რაც მათ ათასის წლის წინად ჰქონდნენ, რამდენადაც თანამედროვე კულტურული ქვეყანა მეტია პატარა საბერძნეთზე, იმდენად სოციალისტური საზოგადოებაც აღემატება თავის ზნეობრივ სიდიადით და მატერიალურ კეთილდღეობით უბრწყინვალეს საზოგადოებას, როგორც ჯერჯერობით იცის ისტორიამ.

დების ასრულება იკისრა სომხურმა პარტიამ „დაშნაკცუტიუნმა." მერე პროკლამაციაში კავკასიის ადმინისტრაციის ყველა მოხელეთ ემუქრებიან, თუ ისინი სამსახურს აასრულებენ, მათ ისეთივე ბედი ეწვევათ, რა ბედიც თავ. ნაკაშიძეს განჯის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორს ანდრეევს, მაზრის უფროს ბოგუსლავსკის, შმერლინგს, ნასხანსკის და პავლოვს, პოლიცმეისტერს სახაროვს, ბოქაულ ჯავახიშვილს, შემაკოვიჩს და სხვათ ეწვიათ.

ზემოდ აღნიშნულ ფაქტების თანახმად ბრალი ედებათ სინო ზიალიანცს, გიორგი მეირამოვს, პეტროს სადაკიანცს, ლევონ არუთინოვს და მინას ადასანიანცს. გამომძიებელთან იმათ აჩვენეს: 1) ზიალიანცმა, რომ მან მიჰყიდა თავისი მაღაზია ოვანეს ტერ-აირაპეტოვს, რადგანაც ვაჭრობა ცუდად მიდიოდა, და გადასწყვიტა კრასნოვოდსკში თავის ბიძაშვილთან გადასახლებულიყო. გუბერნატორის მოკვლის დროს ის სახლში იყო. გუბერნატორის მოკვლის ამბავი აირაპეტოვმა უთხრა, სახლიდან გამოვიდა და თავის ნაცნობ ლალიანს შეხვდა. ბაქოდან ის წავიდა 12 მაისს, ღამე; მეორე დღესვე გემზე გაიცნო ერთი კაცი, რომელიც სცდილობდა გაეგო აქვს თუ არა მას ფული, სინამდვილის თქმა არ უნდოდა და უთხრა: 50 კაპ. მაქვსო, მაგრამ კრასნოვოდსკში იმ უცნობის თვალწინ ლუდი მოითხოვა და ჯიბიდან სამი მანეთი ამოიღო. ამ გარემოებამ მეტად გააჯავრა უცნობი, რომელიც დაემუქრა, პოლიციასთან დაგასმენო, მით უმეტეს რომ წინად ლაპარაკში უამბო უცნობს, წინა დღეს პოლიციამ გამჩხრიკაო; 2) მეირამოვმა, რომ 4 მაისს ბაქოდან მშობლებთან დერბენტს წავიდა და უკან ათ მაისს დაბრუნდა, მეორე დღეს მუშაობდა ხიტისოვის ქარხანაში, დილის 6 საათიდან შუადღის 11½-მდე; ქარხანაში მუშაობა შუადღის 1 საათამდე სწყდება, ამის შემდეგ ის ისევ მუშაობდა საღამოს 4½-მდე; 3) სადაკიანცმა, რომ 11 მაისს მთელი დღე ტარზიბატიანცის რკინის საწყობში მუშაობდა; 4) არუთინოვმა, რომ მთელი დღე 11 მაისს მანთაშევის ქარხანაში მუშაობდა და 5) ადანესიანცმა, რომ აფეთქების დროს, თავის ნათესავ, კერძო ვექილ თუმანოვთან იყო. ამის გამო ჩვენება ჩამოართვეს ლალიანსა, ნაუმიანცსა, ოვანეს აირაპეტოვსა და პატიანცს; მეირამოვის მხრივ ხიტისოვის ქარხნის გამგე კერცბერგსა და მუშებს: იმინსა, ტასტოგიანცსა, ბერეზინსა, ტატევოსოვსა და კაზარიანცს, რომელთაც მათი ნალაპარაკევი დაამტკიცეს. ამას გარდა გერცენბერგმა სამხედრო გამომძიებელს წარუდგინა ანგარიშის ქაღალდი, სადაც აღნიშნულია, რომ 11 მაისს მეირამოვი მუშაობაზე იყო 9 საათის განმავლობაში; არუთინოვის მხრივ — მანთაშევის ქარხნის ლაბორანტმა გასრაიანცმა, ადასანიანცის მხრივ—კერძო ვექილმა თუმანოვმა იგივე განაცხადეს.

ზემოდ აღნიშნულის თანახმად, ზემოხსენებულ ყველა პირს შემდეგი ბრალი ედებათ: 1) რომ მათ ერთმანეთში მოილაპარაკეს მოეკლათ ბაქოს გუბერნატორი თავ. მ. ა. ნაკაშიძე მის სამსახურის მოღვაწეობისათვის და იმ მიზნით შუადღის სამ საათზე, 11 მაისს 1905 წელს, შეიარაღნენ ფრანგულის ქუჩაზე ქ. ბაქოში და უცდიდნენ, როდის გამოივლიდა ნაკაშიძე და როდესაც ეს უკანასკნელი დაუპირდაპირდა მათ, ესროლეს მის ეტლს წინდაწინვე მოტანილი ყუმბარა, რომლითაც თვითონ იქვე მოკლულ იქმნა. ეს საქციელი მოხსენებულია 1 ნაწ. 1453 მ. სასჯ. დებ. 1885 წ. და 279 მ. 22 ნ. ს. გ. ი. 1869 წ. გამ. მე-3. 2) რომ იმავე დროს იმავე ყუმბარით მოკლულ იქმნა თავ. ნაკაშიძის თანამხლებელი ესაული თაყაიშვილი და შემთხვევით იქვე მდგომნი: სპარსეთის ქვეშევრდომი მეშადი-კაირმა-ალი-ოღლი და ჭასან-კულულ-მირზა-ოღლი და სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა მეეტლე მეშადი იბრაჰიმ-ოღლი. ამასთან თუმცა მათ განზრახვა არ ჰქონიათ თავ. ნაკაშიძის გარდა, ზემო-აღნიშნულ პირების მოკვლისა, მაინც იცოდნენ, რომ მათი საქციელით ნაკაშიძეს ახლო-მახლო მდგომნიც უნდა დახოცილიყვნენ. ეს საქციელი მოხსენებულია იმავე დებულების 1458 მუხ. ამ საქციელისათვის თანახმად 17 და 20 მუხ. ზემოხსენებული ხუთი ბრალდებული გარდაცემულნი არიან კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოზე ბაქოს დრ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით და გასამართლებულ იქმნებიან სამხედრო დროის კანონებით. ამ საქმისთვის გამოწვეულია 85 მოწმე, მათ შორის ბრალდებულთა თხოვნით —76.

პრესსა

გაზ. „სლოვო"-ში დაბეჭდილია მეტად დამახასიათებელი და საგულისხმიერო ბაასი ბიუროკრატისა და ჟურნალისტის. ბაასი იმდენად მარჯვეთ ახასიათებს აღძრულ საკითხს, რომ ყველა გაზეთებმა გადაბეჭდეს. ჩვენც მოგვყავს თითქმის შეუმოკლებლად:

ბიუროკრატი. ვერ გამიგია კარგად: რამ გაგახარათ ასე ჟურნალისტები? გულდასმითა და ფხიზელის გონებით გადავიკითხე 6 აგვისტოს კანონი და ძალიან მეძნელება რაიმე ცვლილება ვპოვო ძველ რეჟიმისა, ყველაფერი ისე დარჩა, როგორც დღემდის იყო. ეს კიდევ არაფერი: მე იმასაც-კი ვფიქრობ, რომ ახალი კანონი კიდევ უფრო გააძლიერებს ყოვლის შემძლე ბიუროკრატიას. როგორც წინადაც, ყველა საქმეების გადამწყვეტი ჩვენ—ბიუროკრატები—ვიქნებით, მაგრამ ჩნდება ფიქცია, ვითომ ყველაფერს ხალხის წარმომადგენლები აკეთებენ. ეს ჩვენთვის უკეთესიცაა: იმდენად ჭკუა ყოველთვის გვქონდა, რომ სახრავი ჩვენთვის დაგვეტოვებინა და სახელი სხვისთვის დაგვეთმო. ჩვენთვის საყურადღებოა: ის კეთდებოდეს, რაც გვსურს და არა ის, ვის ბლანკზე დაიწერება გადაწყვეტილება—სახელმწიფო სათათბიროს ბლანკზე თუ რომლისამე მინისტრისაზე...

ჟურნალისტი. მაპატიეთ. საყოველთაო სიხარულის პირველ დღეებში მაინც მინდა ვიფიქრო, რომ თქვენ მართალი არ ბრძანდებით...მართლა. ნუ თუ არაფრად აფასებთ იმას, რომ 412 ჭკვიანსა და საქმის კაცს ამოვირჩევთ!?

ბიუროკრატი. როდის იქნება ეგ? ექვსის თვის შემდეგ?! ვა... ექვსის თვის შემდეგ მე იქნება მინისტრიც გავხდე ან ადგილიც დავკარგო?! პოლიტიკა ცვალებადია. ვინ იცის, ხვალ-ზეგ რა გუნებაზე ვიქნებით ან რა მოხდება ამ 6 თვეში?! ისტორიის მატარებელი წინაც მიდის და უკანაც; ჩვენში მატარებელი ხშირად სამის წუთის მაგიერ მთელი სამი საათი სდგას. როცა ჩვენს ისტორიას ჩაუფიქრდები, შენთვის ნათლად ირკვევა დღევანდელ მომენტის მნიშვნელობა. მართლაც, განა ჩვენ იმავ ვაგონში არ ვსხდებით, რომელიც ერთ დროს სპერანსკიმ დაამზადა? მაშასადამე, მატარებელი 100 წელიწადს იდგა სადგურზე. ეხლა პირველად ჩამოკრეს ზარს, მერე მეორედ დარეკეს, მერე მესამედ, შემდეგ კონდუქტორი ნიშანს მისცემს, მაშინისტი გასწევს, ხოლო შესაძლებელია მატარებელი ვერც-კი დაიძრეს და დიდხანს კიდევ სადგურზე დარჩეს. გამოიანგარიშეთ, რამდენ ხანს გავჩერდებით კიდევ?! მაგრამ ვთქვათ ისიც მოხდა, რომ 412 კაცს შეჰკრებენ; ვთქვათ ამათ გაჰბედეს და მოითხოვეს სიტყვის თავისუფლება. მათ უპასუხებენ—კობეკო შეიმუშავებს კანონსაო. ხალხის წარმომადგენელნი მოითხოვენ—საქმე დააჩქარეთო. მორჩა და გათავდა, ყველაფერი კანცელარიის საიდუმლოდ დაარსება...

ჟურნალისტი. მაშ, თქვენის აზრით, პრესსის თავისუფლებას ვერ მოვესწრებით?

ბიუროკრატი. რასაკვირველია, ვერა! როგორ არ გინდათ გაიგოთ, რომ ბიუროკრატია სწორედ მაგას ვერ დათმობს თავის ნებით?! სიტყვის თავისუფლება სრულიად მოსპობს ბიუროკრატიის ძლიერებას და ამიტომაც სწორედ აქ დარჩება ყველაფერი ისე, როგორც დღემდის იყო... არც კრების თავისუფლებას აღვიარებთ, რადგან ყოველი ამ გვარი თავისუფლება მავნებელია ჩვენის ხალხისთვის... ხოლო თუ ხალხის წარმომადგენლები ამის წინაღმდეგ ხმამაღლა დაიწყებენ ლაპარაკს, ჩვენ შეძლება გვაქვს პირი შევკრათ, რადგან არც პიროვნების ხელშეუხებლობას ვცემთ პატივს...

ჟურნალისტი. მაპატიეთ, მაგრამ რაღა დარჩა ახალ რეფორმიდან? რა ფასი აქვს, თქვენის აზრით, სახელმწიფო სათათბიროს?

ბიუროკრატი. რა უნდა დავაფასო? პრინციპიალურად ჩემი საქმე არ არის კანონის განხილვა. მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ; ჩნდება 412 ადგილი მცირე მოხელისა, ვამბობ „მცირე მოხელე," რადგან არ შემიძლია მსხვილ მოხელედ აღვიარო კაცი, რომელსაც დღეში ერთი თუმანი ჯილდო ექნება და ვერც ჩინს მიიღებს, ვერც ორდენს...

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

10 აგვისტოს, ღამის თერთმეტ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ერთ ხის დუქანს ახალ გაგრაში. ცეცხლი სხვა დუქნებზედაც გადავიდა და ორი საათის განმავლობაში ნახევარზე მეტი შენობები მთლად გადიბუგა. ხალხი მიეშველა და რამდენიმე დუქანი გადაარჩინა. დაიწვა 25 დუქანი თავის საქონლით. მარტო ორმა-სამმა პატრონმა გადაარჩინა საქონელი. დანარჩენებს მთლად დაეწვათ თუ რამ გააჩნდათ. საერთო ზარალი 60 ათას მანეთამდე ადის. ზოგი წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ხელოსანი სულ ულუკმა-პუროდ დარჩა კარში, მარტო საცვლების ამარა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არავინ იცის: ოღონდ ის-კი ბევრმა დაინახა, რომ პოლიციელები შორიდან გულ-ხელ დაკრეფილნი სეირს უყურებდნენ.

ცეცხლისაგან დაზარალებულნი არიან უმეტესად ქართველები და სომხები და რამოდენიმე ბერძენიც. მათ დასახმარებლად შესდგა კომიტეტი, რომელიც მეორე დღესვე შეუდგა შემოწირულების შეგროვებას. მოვაგონებთ გულმტკივნეულთ დაზარალებულთა უკიდურეს გაჭირვებას და ვთხოვთ დახმარება გაუწიონ მათ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Гагры, Петр Виссаріоновичу Эліава.

არ იქნებოდა ურიგო სომხურ გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს ამბავი. **იოსებ მირუაშვილი**

რუსეთის ქრონიკა

სოციალისტთა აგიტატორები და მუშათა მოძრაობა. „რუს. ვედ."-ს აცნობებენ, რომ ვარშავაში 7 აგვისტოს პოლიცია თავს წასდგომია სოციალისტთა აგიტატორების სხდომას აკოკოვის ქუჩაზე და დაუჭერია 27 კაცი და მრავალი ქაღალდი. ერთი შეპყრობილთაგანი გაქცევას აპირებდა და 11-ჯერ უსროლია მდევრისთვის, მაგრამ ბოლოს თვითონვე დაჭრილა ტყვიით.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

17 აგვისტო

ტოკიო, 17 აგვისტო. როგორც კიოტოდან იუწყებიან, როესტვენსკი სექტემბრის პირველ რიცხვებში მორჩება.

პორტ-სმუტი, 17 აგვისტო. დღეს საზღვაო არსენალში შეხვდნენ მარტენსი და იაპონიის იურისკონსულტი და შეუდგნენ სამშვიდობო ხელ-შეკრულობის შედგენას.— გადაწყდა, რომ პორტ-სმუტის ხელ-შეკრულობა ჩამოვარდება იმავე საზღვაო არსენალში.

პარიჟი. ზავის პირობებს ისე უცქერენ, როგორც ნამდვილს გამარჯვებას რუსეთისას.

ბერლინი. „ფორვერტს"-ი სალამს უძღვნის ზავის ჩამოგდებას. „ფოსიშე-ცაიტუნგ"-ის აზრით იაპონია გონივრულად მოქმედებდა, რადგანაც ისე დაუთმო, რომ არც კი შეეხო ომის მთავარ შედეგსო.

ოისტერბეი, 17 აგვისტო. რუზველტმა მისალოცი დეპეშა მიიღო ედუარდ მეფისაგან ზავის ჩამოგდების გამო. იმპერატორ ვილჰელმმა ვიტტეს დეპეშით მიულოცა.

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. ჟურნალისტს უთხრა კანეკომ, იაპონიასა და ამერიკას შორის არ იქნება ბრძოლა ვაჭრობის საქმეში უპირატესობის მოპოვებისათვის. კანეკო ჩქარა გამოაქვეყნებს ამერიკაში მისის მისიის დედა აზრს. ჩინეთის დესპანის აზრით ზავის პირობები უზრუნველჰყოფენ ჩინეთის მომავალს. იაპონიის დელეგატები 7 სექტემბერს ჩასხდებიან გემზე სან-ფრანცისკოში. იმპერატორ ვილჰელმს შემდეგი დეპეშა მიუვიდა რუზველტისაგან: „სულით და გულით გმადლობთ მილოცვისათვის. ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ღრმა მადლობა გიძღვნათ იმ დახმარებისათვის, რომელსაც განუწყვეტლივ იჩენდით თქვენ შორეულ აღმოსავლეთში ზავის მიღწევის საქმეში". ბერლინში დიდი სიხარული გამოიწვია ზავის ჩამოგდებამ,

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან".

17 აგვისტო

პეტერბურგი. როგორც იუწყებიან, რუსეთი იხდის მხოლოდ სამხედრო ტყვეების რჩენასა და მათ გადაყვანაზე დახარჯულ ფულს, იმდენს, რამდენიც ნამდვილად დახარჯა იაპონიამ, რაც ას მილიონ მანეთს აღემატება.

პორტ-სმუტი. კანეკოს სიტყვით იაპონელები კმაყოფილი არიან ზავით, რადგანაც იგი მომავალ არსებობისთვის იბრძოდა.

ნიუ-იორკი. მორგან-ჯემს-ბეკსის სინდიკატს ლაპარაკი აქვს რუსეთის სესხის 400,000,000 მან. გამოშვებაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. ბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 145. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტელნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმეებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქრუევისა. (30—30)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვშორებ ცუდ სუნს. ე. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—25)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ბელბორდტ ლოკში

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—26)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ვუგზავნებთ.

განცხადება

ულუხანლუ-ჯულფის რკინის გზის მკეთებელი მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს ულუხანლუსა და ნახიჩევანს შუა მატარებლების მიმოსვლის დროებით წესრიგს:

ულუხანლუდან მატარებლები გავლენ **სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით** დილის 8 ს. და 45 წ. და ჩავლენ ნახიჩევანს საღამოს 6 საათზე.

ნახიჩევნიდან გავლენ **კვირა დღეობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით** დილის 8 საათზე და ჩავლენ ულუხანლუს საღამოს 6 საათზე. საათი ნაჩვენებია პეტერბურგის დროთი. (6. 3—1)

ბუჰგალტერიის და საკანტორო ცოდნის კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მეექვსე)

კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო უფლებას.

სწავლა დაიწყება 1905 წ. 14 სექტემბერს, კურსი გაგრძელდება 6 თვეს. სწავლა 3-ჯერ კვირაში საღამოობით. კურსების მსმენელებად მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნე პირნი სქესის განურჩევლად. ფასი 40 მან. კურსის განმავლობაში.

თხოვნებს იღებს ტფ. საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე, საკომერციო სასწავლებლის კანცელარიაში. (6—2)

ულუხანლუ-ჯულფის რკინის გზის მკეთებელი მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ სამგზავრო და საქონლის მატარებლების დროებითი მიმოსვლა ულუხანლუსა და ნახიჩევანს შორის 20 ამა აგვისტოს დაიწყება.

ულუხანლუდან ნახიჩევანამდე მატარებლები გავლენ **სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით**; ხოლო ნახიჩევანიდან ულუხანლუს გავლენ **კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.**

პირველი სამგზავრო-სასაქონლო მატარებელი ულუხანლუდან ნახიჩევანს გავა 20 აგვისტოს; ხოლო ამგვარივე პირველი მატარებელი ნახიჩევნიდან ულუხანლუს გავა 21 აგვისტოს.

მატარებლების მიმოსვლა ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—3)

ԲԱՑՈՒԱԾ Է ԲԱԺԱՆՈՐԴԱԳՐՈՒԹԻՒՆ

„ԱՐՇԱԼՈՅՍ"

գրական, հասարակական, քաղաքական, տնտեսագիտական պատկերազարդ օրաթերթի,

որ լոյս է տեսնելու օգոստոս ամսի վերջերից՝ ռուսաց «Русскія Вѣдомости» օրաթերթի մեծութեամբ (տարեկան բաժանորդագինը 7 ռ.)։

«Արշալոյսի» նպատակն է լինելու ընթերցանութեան թարմ և օգտակար նիւթ մատակարարել հայ ընթերցողներին՝ արծարծելով առաջադիմական լուսաւոր գաղափարներ, բացատրելով ընթացիկ կեանքի երևոյթները, հասարակական պէս-պէս հոսանքներն ու հրատապ հարցերը և այդ բոլորի միջոցով նպաստել հայ ազգի զարգացմանն ու քաղաքակրթութեանը։ Աշխատակցելու հրաւիրուած են յայտնի հեղինակներ ու մասնագէտներ։ Բացի դրանից խմբագրութիւնը լայն ասպարէզ է բանալու հայ երիտասարդութեան առաջ, առանձնապէս աշխատելով տեղ տալ թարմ ու օգտակար ոյժերին և գործադրելով գրական աշխատանքի վարձատրութեան սկզբունքը։

«Արշալոյսն» ունենալու է հետևեալ բաժինները.

1. ԿԱՌԱՎԱՐՉԱԿԱՆ ԿԱՐԳԱԴՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ. 2. ԱՌԱՋՆՈՐԴՈՂՆԵՐ. 3. ՀԵՌԱԳԻՐՆԵՐ—(Գործակալութեան և սեփական). 4. I. ՆԵՐՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Ներքին լուրեր և բ. Փոքրիկ յօդուածներ ընթացիկ հարցերի մասին։ II. ԱՐՏԱՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Յօդուածներ արտասահմանեան խոշոր դէպքերի մասին. բ. Թղթակցութիւններ արտասահմանից. գ. Քաղաքական լուրեր. դ. ՀԱՅԿԱԿԱՆ ԿԵԱՆՔԻ ՇՈՒՐՋԸ.—Տեղեկութիւններ արտասահմանեան հայկական կեանքից. քաղուածքներ արտասահմանեան հայ թերթերից, հարկաւոր դէպքերում խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով։ Ш. ԿՈՎԿԱՍԵԱՆ ՔՐՈՆԻԿՈՆ.—ա. Յօդուածներ գաւառական կեանքի տնտեսական, կրթական և այլ ընթացիկ կարիքների մասին. թղթակցութիւններ և լուրեր. բ. ԹԱՏՐՈՆ ԵՒ ԵՐԱԺՇՏՈՒԹԻՒՆ.—Ամփոփ տեսութիւններ թէ տեղական (հայ և օտար) և թէ գաւառական ներկայացումների, համերգների ու հանդէսների մասին։ 5. ՏԵՂԱԿԱՆ ԿԵԱՆՔԸ.—Լուրեր, տեղեկութիւններ ու յօդուածներ Թիֆլիսի կեանքից։ 6. ԸՆԿԵՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ ԵՒ ՀԻՄՆԱՐԿՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—ա. Հաշիւներ ու տեղեկութիւններ կրթական, դատաստանական, առևտրական-արդիւնաբերական և հասարակական հիմնարկութիւնների մասին. բ. ԳԻՏԱԿԱՆ ՆՈՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—Ինքնուրոյն տեղեկութիւններ և թարգմանական քաղուածքներ օտար մամուլից։ 7. ՄԱՄՈՒԼԻ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՔՆՆԴԱՏՈՒԹԻՒՆ.—ա. Քաղուածքներ հայ և օտար մամուլից խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով. բ. Քննադատական յօդուածներ. 8. ԹՂԹԱԿՑՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 9. ՄԱՏԵՆԱԽՕՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Ռեցէնզիաներ հայերէն լեզուով լոյս տեսած գրքերի մասին. բ. Ամփոփ տեղեկութիւններ օտար լեզուներով լոյս տեսած գրքերի մասին, մանաւանդ հայերին, նրանց գրագէտներին և մերձաւոր աշխարհին վերաբերեալ. գ. Խմբագրատանն ստացուած գրքերի ցուցակը։ 10—11 ԲԱՆԱՍԻՐԱԿԱՆ.—ա. Ինքնուրոյն և թարգմանական վէպեր, մանրավէպեր, բանաստեղծութիւններ ու պատկերներ. բ. Սոցիալական-տնտեսագիտական ամփոփ յօդուածներ ու տեսութիւններ. գ. Գրական և գիտական տեսութիւններ. դ. Բժշկական և առողջապահական յօդուածներ. ե. Երգիծաբանական գրուածքներ։ ԱՐԴԻՒՆԱԳՈՐԾՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՎԱՃԱՌԱԿԱՆՈՒԹԻՒՆ.—Տեսութիւններ և տեղեկութիւններ արդիւնագործութեան և վաճառականութեան մասին։ Աշխատաւոր դասակարգի կեանքն ու կարիքները։ 12. ՏԵՂԵԿԱՏՈՒ.—ա. Մուրհակներ և բորսա. բ. Օրացոյց. գ. Այսօր (տեղեկութիւններ ժողովների, հանդէսների և ներկայացումների մասին). դ. Ճանապարհորդութիւն. (տեղեկ. երկաթուղիների և նաւերի մասին)։ ԽՈՐՀՐԴԱՏՈՒ.—Խորհուրդներ և պատասխաններ ընթերցողների առաջարկած իրաւաբանական, բժշկական հարցերին։ ՆԱՄԱԿՆԵՐ ԽՄԲԱԳՐՈՒԹԵԱՆ. ՓՈՍՏԱՐԿՂ։ 13. ՅԱՅՏԱՐԱՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 14. ՊԱՏԿԵՐՆԵՐ։

Յօդուածներ կարելի է ուղարկել այժմանից։

Բաժանորդագրութեան պայմաններ.

Թիֆլիզի և Ռուսաստանի համար՝

4 ամիսը (սեպ.—յան.) 2 ռ. 50 կոպ.
3 » 2 »
2 » 1 » 50 »
1 » » » 75 »

Արտասահմանի համար՝

4 ամիսը 4 ռ.=9 մարկ
=11 ֆրանկ=9 շիլինգ
=2 դոլլար։

Խմբագիր-Հրատարակիչ՝ **Գ. Մելիք-Կարագեօզեան**

Առաջիկայ սեպտեմբեր ամսից Գ. Մելիք-Կարագեօզեանի հրատարակութեամբ սկսելու է լոյս տեսնել նաև «Кавказскій Вѣстникъ» ռուսերէն ամսագիրը, որի նպատակն է լինելու՝ նպաստել Կովկասի զանազան ազգութիւնների փոխադարձ մերձեցմանը, նրանց համախմբել ընդհանուր քաղաքակրթական շահերի շուրջը և միևնոյն ժամանակ ռուս հասարակութեան առաջ պատկերացնել Կովկասի ընթացիկ կեանքն ու կարիքները։

Այդ նպատակով արդէն որոշ համաձայնութիւն է կայացել վրաց առաջադիմական «Ցնոբիս Փուրցելի» թերթի խմբագրութեան հետ։

«Кавк. Вѣст.»-ի բաժանորդագինն է 4 ամիսը (սեպ.—յունուար) 3 ռուբ.

«Արշալոյս» և «Кавк. Вѣст.» միասին ստացողները պէտք է վճարեն Ռուսաստանում 4 ամիսը—3 ռ. 75 կոպ. Արտասահմանում 6 ր. Բաժանորդ գրուել կարելի է խմբագրատանը (Թիֆլիս, Գանովսկայա փող. № 11). օտար քաղաքներից պէտք է դիմել. Тифлисъ, Редакція газеты «Аршалуйсъ» *կամ* Tiflis, Rédaction du Journal «Arschalouis».

«Արշալոյսի» գործակալներ են.

Աղէքսանդրոպոլում—Ա. Խաչեան, Երևանում—«Արարատ» գրավաճառանոցը, Կարսում—Հ. Տէր-Թադևոսեան, Դառնաքիլիսայում—Խ. բ. [illegible], Ղազարեան, Բաքւում—Յ. Փիրղեան, Բաթումում—«Сотрудникъ» գրավաճառանոցը, Շուշում—Ա. Ցաքարեան, Մոզդոկում—Յ. բ. [illegible], Աստրախանում—Մ. բ. Տէր-Յովհաննիսեան։ Եւ յարմար միւս կենտրոններում էլ շուտով կը հաստատուին յատուկ գործակալութիւններ։

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაძი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ჯანგულოვისა	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—20)

Доз. цен. Тифлисъ, 18 Августа 1905 г.

Печ. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ამხ-ისა